ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისა
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისა

# საქართველო

(19)

VI-VIII, IX, X, XI

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 12 (1386)

25.V - 1.VI, 1994 წ.

# 26 მაისის დღესასწაული თბილისის ქუჩებში

თბილისმა ზეიმი დილა-ადრიან დაიწყო. ყველა სახლები და დაწესებულებანი მორთულნი იყვნენ ეროვნული დროშებით და ქუჩაში გამოსავალი აივნები ნოხებით და მრავალი ფერადებით.

დილის 7 საათიდან ქალაქის ყოველი კუთხიდან ხალხმა რუსთაველის ქუჩით თავისუფლების მოედნისაკენ იწყო დენა. მოედანზედ ყოველი კუთხე საგანგებოთ იყო მორთული და ქალაქის თვითმართველობა გირლიანდებში გამწვანებული, რომლის შუა გულში მოსჩანდა საქართველოს სახელმწიფო ღერბი. რუსთაველის ქუჩის ორივე მხარეზე გამწკრივებული იყო სტუდენტობა და ახალგაზრდობა.

დამფუძნებელი კრების სასახლის თავზე ფრიალებდა დიდი ეროვნული დროშა და ღერბი, ყოველი აივანი მორთული იყო დროშებით და ყვავილებით.

## ჯარების პარადი

8 საათისათვის ჯარის ნაწილები გაემართენ სამხედრო ტაძრისაკენ; ჯარი თავის ჩაცმულობით და წესრიგით შესანიშნავ შთაბეჭდილებას სტოვებდა, განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობდა კაპიტან მახარაძის ნაწილი და პოდპ. ირაკლი ცაგურიისა სამთო ცხენოსანი არტილერია. 10 საათ. ტაძარში შეიკრიბნენ მთავრობის, დამფუძნებელი კრების და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი.

პარადი მიიღო მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ, ამის შემდეგ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა მოულოცეს მას ბრწყინვალე დღესასწაული.

## თავისუფლების მოედანზედ

სამხედრო ტაძრიდან მთავრობა და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები საგანგებოთ მორთულ ეტლებით გაემართენ თავისუფლების მოედანზედ; აქ თავი მოეყარათ თბილისის ამქრებს მათის ძველი დროშებით, პროფ. კავშირთა წარმომადგენლებს, კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენლებს, გურულებს, მორთულ ეროვნულ ტანსაცმელებში და ხევსურებს ჩასხმული ჯაჭვ-ჯავშან-მუზარადებში, აჭარლებს, მესხეთ-ჯავახეთის წარმომადგენლებს, ახალციხის ქართველი მაჰმადიანთა დელეგაციას და სამეგრელოსა და საქართველოს მრავალ სხვა კუთხეთ წარმომადგენლებს. მათი მისალმებების შემდეგ, მთავრობის ესკორტი გაემართა ვაკეში გამართულ სტადიონისაკენ.

## საზეიმო კორტეჟი

შუადღის 12 საათზედ თავისუფლების მოედნიდან ვაკესაკენ, დაიძრა საზეიმო კორტეჟი, კორტეჟს წინ მიუძღოდა ორი გკროლდი, რომელიც საყვირით ხალხს აიშნებდა პროცესის სვლას.

მრავალრიცხოვანი ხორო კომპოზიტორ ფოცხვერაშვილის ლოტბარობით ასრულებდა „26 მაისის დიდებას".

## რევოლუციის სიმბოლო

პირველი ავტომობილი გამოხატავდა სიმბოლოს რევოლუციისა. წითელ, სისხლის ფერ ამაღლებაზედ სჩანდა ქალი, მორთული წითელ ტანსაცმელში, რკინის მუზარადით და ანთებულ ჩირაღდნით ხელში, მის გვერდით მუშა, დაჭიმულ ძარღვებით კვერს ურტყამდა გრდემლს.

სურათი შესრულებული იყო მხატვარ მოსე თოიძის ესკიზით, ავტორის მიერ.

## დამოუკიდებლობის სიმბოლო

მეორე სურათი, შესრულებული მხატვარ შალვა ქიქოძის მიერ იყო სიმბოლო საქართველოს დამოუკიდებლობისა.

ქართულ ფერებით მორთულ ავტომობილის ამაღლებაზედ იდგა ქალი ცისფერ ქართულ ტანისამოსში, შუბით და ხელში ფარით, თეთრი გიორგის ნიშნით.

მის დაბლა, ქალს გარს ერტყნენ ლამაზი ასულნი, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტანსაცმელებში, ნიშნათ ყოველი კუთხის ერთობისა ერთიან საქართველოს გარშემო.

ხორო უგალობდა სურათს 26 მაისის საგალობელს, ხოლო უკან სდევდა ვაჟთა კავალკადა, შესანიშნავ ცხენებზედ, ყოველი კუთხის ტანისამოსში.

## გაზაფხულის სიმბოლო

მესამე ავტომობილი, სიმბოლო გაზაფხულის და ნაყოფიერების მორთული იყო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის მიერ მწვანილის და ხეხილის ხონჩა თაბახები, მოსჩანდა ქალი, ამწვანებულ ქართულ ტანსაცმელში, გარშემორტყმული შინდის ფერ ტუნიკებში მორთულ ლამაზი ასულებით.

ავტომობილებს წინ მიუძღოდა სურათების ავტომობილი.

ავტომობილების შემდეგ ქართველი შევარდნები სავარჯიშო საცმელებში თავისი დროშით, შესანიშნავი დანახულობით მიდიოდნენ. მათ მოჰყვებოდნენ დამფუძნებელ კრების წევრები და კორტეჟი სრულდებოდა ხევსურებით.

პროცესიამ გაიარა დამფუძნებელი კრების ხეივანი, გაიარა საგანგებოდ აშენებული არკა და რუსთაველის ქუჩით გაემართა სტადიონისაკენ.

## სტადიონზედ

სასულიერო სემინარიის გასწვრივ მარცხნივ მხარეს, დაცემულ ადგილზედ, მოწყობილი იყო სტადიონი. აქ განზრახული იყო შევარდენთა შეჯიბრება.

ფერდობებზედ გაშენებულ კარავებში მოთავსდენ მთავრობა, დამფუძნებელი კრების წევრნი და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები.

ორივე მხარეს მთის ფერდობებში მოქცეულ მინდვრებში მოქცეული ხალხი მოუთმენლად ელოდა შეჯიბრების დაწყებას.

2 საათისათვის პროცესიამ მიაღწია სტადიონს.

ფოცხვერაშვილის ხორომ შეასრულა 2 სიმღერა.

## შევარდნები

200 ვაჟკაცმა 60 ქალმა და 150 ბავშვმა მწყობრით დარაზმულებმა გიმნასტიური ნაბიჯით გაიარეს მთელი სტადიონი.

ბავშვების ჯგუფი წითელ ხალათებში პლაცზე დარჩა და სავარჯიშოთ გაიშალა და მოევლინა შესანიშნავ სანახაობათ აყვავილდა ყაყაჩოს ფერებით.

ბავშვებმა შეასრულეს სამი თავისუფალი ვარჯიში და ოთხ მწკრივად დაშლილებმა სიარულით გამოხატეს სიტყვა „შევარდენი".

ბავშვები შეიცვალნენ მოზრდილ შევარდენთა ჯგუფით, ჭრელი ტანისამოსი და დამწვარი პირისახე, მზის მჭრელ სხივებზე აელვარებული ძველ ბერძნულ სანახაობას ემსგავსებოდა.

მათზედ ნაკლებ მომხიბვლელი არ იყო ქალების ვარჯიშობა, უნდა მომხდარიყო „შევარდენთა" შეჯიბრება, მაგრამ წვიმამ შეუშალა და საუკეთესო სურათი შევარდენთა დღესასწაულის შეუსრულებელი დარჩა.

ვარჯიშობის შემდეგ ხევსურთა ფარიკაობა გაიმართა და მთელი ზეიმი სტადიონზე ბურთაობით დასრულდა.

ნაშუადღევს 2 საათზედ, წვიმის გამო განზრახულ დროზე უფრო ადრე საზოგადოებამ დაშლა იწყო.

## სალამოს

სალამოს მთელი ქალაქი ანთებული იყო ფერადი სანთლებით და ჰაერში მოფრინავი ჰეროპლანები შუშხუნებს უშვებდენ. ქუჩები სავსე იყო მოდღესასწაულე ხალხით.

გაზ. „საქართველო — №108,
1919 წ. 28 მაისი

**როგორი იქნება 26 მაისი ხვალ?**
**ინფორმაციას მოგაწვდით მომდევნო ნომერში**

## დღეს ნომერში:

ნოდარ გრიგალაშვილი

**ყვითელი ბარათები**

წერილის ქვესათაურები გახლავთ:

რჩეულიშვილი
შემომეკრიტიკა

*

დეპუტატი აკაკი ბრეგაძე

*

ადა მარშანიას ცრემლები

*

«მე შარი არ მინდოდა»...
(პასუხი დეპუტატ რომან მიმინოშვილს)

*

რატომ არ დავბეჭდე
ერთი წერილი

იხ. მეშვიდე გვერდზე

საპარლამენტო სკანდალების
ისტორიიდან საქართველოში

იხ. მეხუთე გვერდზე

აფხაზეთის წართმევა
რუსეთს ყოველთვის
სურდა

იხ. მეექვსე გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 26 მაისი

# «ვაი ჩვენო ქართვლის ბედო»

ნოდარ გრიგალაშვილი

„მთავრობაძე სკანძალსია ვ პეტროგრადე“ — ასეთი დეპეშით აცნობა კარლო ჩხეიძემ, რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მომავალმა თავმჯდომარემ ნიკოლოზ მეორის გადადგომა საქართველოს.

1917 წლის თებერვალში თვითმპყრობელობა დაემხო. უზარმაზარი იმპერია დაიშალა, კოლონიებმა ბორკილი აიხსნეს: მაგრამ საუკუნისა და 17 წლის მონობის შემდეგ ფენიქსივით მკვდრეთით აღმსდგარმა ივერიამ მხოლოდ მცირე ხნით შეინარჩუნა ის, რასაც მთელი ასწლეულის მანძილზე დღენიადაგ ნატრობდა „ჩემის ნატვრითა ქართველი“ — თავისუფლება, დამოუკიდებლობა.

1918 წლის 26 მაისი, დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენის დღე. 2 წლის, 9 თვისა და 9 დღის შემდეგ 25-მა თებერვალმა შეცვალა...

რატომ გამოდგა ასე დღემოკლე საქართველოს დამოუკიდებლობა?

ამ კონკრეტულ კითხვას ცალსახა პასუხი ალბათ ვერ ამოწურავს, მაგრამ უმთავრესი მიზეზი გახლდათ ის, რაზედაც ცრემლმორეული ლაპარაკობდა საქართველოს ბედით შეძრწუნებული ნიკოლოზ ბარათაშვილი, როცა პირველად დავკარგეთ სახელმწიფოებრიობა და დიდი იმპერიის დანამატად ვიქეცით.

ერთხელ კიდევ გავიხსენოთ კონსტანტინე მამაცაშვილის ცნობილი მოგონება ბარათაშვილის შესახებ:

„1838 წელს მე და ტატო წავედით სასეირნოდ გარეთ-უბანს. ტატო ძალიან მხიარულად იყო და თავისებურად მშვენივრად ხუმრობდა. მერმე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზედ და ტრაგიკულს დასასრულზედ მე-18-ის საუკუნისა მეფის ირაკლის ·ხუცებულობის გამო, ულონობაზედ, ჩვენის ტფილისის წახდენაზედ 1795 წელს 12 სექტემბერს და სხვა.

ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს ყოველთვის მოცინარსა და მხიარულს, სახე გამოეცვალა. დაიწყო ხელსახოცით ცრემლების წმენდა და აღელვებულმა მითხრა: „— ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა! (ხაზი ჩემია, ნ.გ.) და ოხვრით დაუმატა: — ვაი, ჩვენო ქართლის ბედო!“

ეს მწარე დიაგნოზი, სამწუხაროდ, ზუსტად მიესადაგება რევოლუციის შემდეგდროინდელ საქართველოს ისტორიასაც.

რაში გამოიხატა ჩვენი უხეირობა? ამ კითხვის პასუხი, ერთი მხრივ წარსული ცხოვრების ანალიზს ითხოვს, მეორე მხრივ კი, ანალიზმა სამომავლოდ უნდა დაგვაფიქროს. „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“ და შეიძლება თუ არა რასაც ვაკეთებდით იმავე გზით ვიაროთ კვლავაც?

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს საკუთარი ბედის განგების შანსი გაუჩნდა. ამ დროისათვის საზოგადოებრივი ვითარება ასეთია. ქვეყანა დაყოფილია სხვადასხვა იდეური მრწამსის მქონე პარტიებად და ჯგუფებად. პარტიებს შორის საზოგადოებრივი ცხოვრების ავანგარდში დგანან, ერთის მხრივ, საქართველოს თავისუფლებისა და სრული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი“ეროვნულ-დემოკრატიული“, შედარებით ნაკლებად რადიკალური, ავტონომიის მომხრე „სოციალ-ფედერალისტური“ პარტიები და, მეორე მხრივ, სოციალ-დემოკრატები — ბოლშევიკები და მენშევიკები, ანუ მეუმრავლესონი და მეუმცირესონი, როგორც მათ იმდროინდელი პრესა ხშირად მოიხსენიებს. გარდა ამისა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ სხვა პარტიები და პარტიების გარეშე მდგომი სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები, სამხედრო პირები.

განსხვავებული იდეური მრწამსის პარტიები და ჯგუფები — ეს ფრაზა ზუსტად ვერ გამოხატავს ჩვენი ქვეყნის მაშინდელ საზოგადოებრივ ვითარებას. უფრო კონკრეტულნი ვიქნებით თუ ვიტყვით, საქართველო გაყოფილი იყო მამულიშვილებად და რენეგატებად. ეროვნულ და ანტიეროვნულ ძალებად. ილია ჭავჭავაძის მიმდევრებად და ილიას მკვლელებად. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებად და საქართველოს დამოუკიდებლობის უარმყოფელებად. ენის, მამულისა და სარწმუნოების დამცველებად და ენის, მამულისა და სარწმუნოების მაგინებლებად. ყველაფერ ამას კი თავისი წინაპირობები ჰქონდა.

1801 წლის შემდეგ, როცა საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა, ერთი მხრივ ერისკაცობა და მამულიშვილობა კიდევ უფრო წმინდათა-წმინდა ცნებად იქცა. პატრიოტული ლირიკა, საერთოდ ქართული მწერლობის ეროვნული პათოსი, განსაკუთრებული სიმძაფრით აჟღერდა. ქართველი პატრიოტები სიცოცხლეს რისკავენ ერისა და ქვეყნის გადასარჩენად.

იმავდროულად კი საქართველოში ჩნდება რენეგატთა ტრადიციების გამგრძელებელი ახალი კასტა. ამ კასტის, თავდაპირველი, მე-19 საუკუნისდროინდელი წარმომადგენლები ცდილობენ პირადი ბედნიერებისა და მამულისათვის ზრუნვა ერთმანეთს შეურწყან. საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლა მათგან მამულის სამსხვერპლოზე საკუთარი თავის ზვარაკად მიტანას ითხოვს. მათ ეს არ ძალუძთ, ტანჯვას ბედნიერება ურჩევნიათ.

სატანჯველად და პირისაგან მიწისა აღსაგველად არც მამული ემეტებათ. ამიტომ, ზოგი შეგნებულად, გაცნობიერებულად, ზოგიც გაუცნობიერებლად ცდილობს დამპყრობლის სამსახურში დაპყრობილი, მშობელი-ქვეყნის ინტერესების დაცვას...

ისინი საქართველოს მომავალი ბედნიერების რწმენით ემსახურებიან რუსული ხიშტის დიდებას. ეს სამსახური თავდაპირველად იძულებითი ხასიათისა იყო, თანდათანობით კი ბედს შეეგუენ და არსებულ ვითარებასთან შეგუებულნი იმპერიის ერთგული ქვეშევრდომები ხდებიან, ხოლო მათი ხელით იმპერია თავის იმპერიალისტურ ზრახვებს ახორციელებს.

თანამემამულეთა თვალში ისინი საჭირო და ჭკვიანი კაცები არიან, შუამავალნი ადგილობრივ მოსახლეობასა და უცხო ხელისუფალთ შორის. ოჯახისათვის სიძლიერის ბურჯები, ცენტრისთვის კი მკვიდრ მოსახლეობას შორის დასაყრდენი ძალა. ამ ტიპის რენეგატებს პირობითად შეიძლება ნაკლებად ცოდვილი, ან თუ შეიძლება ასე ითქვას, დროითა და გარემოებით იძულებული რენეგატები ვუწოდოთ.

ამ კასტის წარმომადგენელთა პოზიცია — რუსეთის ერთგული სამსახური საქართველოს ინტერესებისათვის — კარგადაა გამოხატული ჯერ კიდევ ახალგაზრდა გრიგოლ ორბელიანის მიერ ლიტერატურულად დამუშავებულ ერთ დღიურში, რომელსაც „მოგზაურობა“ ჰქვია. ორბელიანი ამ დღიურში გადმოგვცემს გენერალ ივანე ნიკოლოზის ძე აფხაზის აზრს: „ღმერთო ნუ მიიყვან რუსთა ესრეთსა განწირულებასა შინა, — ამბობს ივანე აფხაზი, რომელ იძულებულ იყვნენ დატევებად საქართველოსა, რომელიც მყისვე შეიქნების მსხვერპლად უწესობისა, შინაგან განხეთქილებისა და ზედა-დასხმისა დაუძინებელთა მტერთასა“.

ახალგაზრდა გრიგოლ ორბელიანი აღნიშნულ აზრს უარყოფს, გენერალს პასუხობს: „საქართველო, შემდგომად რუსთა დატევებისა, ვგონებ იყოს ესრეთ ძლიერი რომელ შეიძლოს დაცვა მტერთაგან საზღვრისა თვისისა“.

მიუხედავად აზრთა ასეთი სხვადასხვაობისა გრიგოლი ივანე აფხაზს მამულის მტრად და უარმყოფელად კი არ მიიჩნევს, არამედ ახასიათებს მას „ვითარცა ჭეშმარიტსა ძესა მამულისასა“, რადგან გენერლის სურვილი რუსთა სიძლიერის შესახებ იყო არა თვითმიზანი, არამედ მამულის ინტერესებით განპირობებული. მას უპირველესად ის აფიქრებდა, რომ საქართველო არ შექმნილიყო „მსხვერპლად უწესობისა“, შინაგან განხეთქილებისა და ზედ დასხმისა დაუძინებელთა მტერთასა“.

ეს დიალოგი 1832 წლის შეთქმულებამდე შედგა. შეთქმულების დამარცხების შემდეგ გადასახლებიდან ბრუნდება უკვე ბედს შეგუებული ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც თავგამოდებით ახორციელებს ბედს უფრო ადრე შერიგებულ აფხაზის სიტყვებში გაცხადებულ აზრს, — საქართველოს ინტერესებისთვის რუსეთის ერთგულ ქვეშევრდომობას. ახორციელებს იმდენად, — რომ სიბერის ჟამს, დიდი სარდალი და დიდი პოეტი, გრიგოლ ორბელიანი ხედავდა რა თვითმპყრობელობისაგან საქართველოს უკიდურესად შევიწროებასა და გლეჯვა-წეწვას, შეშფოთებული ამბობდა ერთ კერძო ბარათში: რას გვერჩიან ეგ დალოცვილები, ჩვენ ხომ თვით რუსებზედ მეტი რუსები ვართო...

სამხედრო თუ სამოქალაქო სამსახურში ჩამდგარ ჩვენს თავადაზნაურებს, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღოდათ რუსული წესწყობილების ადგილობრივ დამკვიდრებაში, რომელნიც დედინაცვალს მშობელ დედასავით ემსახურებოდნენ, პენსიაზე გასვლის შემდეგ, ფიქრისათვის, როგორც იტყვიან, დრო თავსაყრელი ჰქონდათ. მათ, თავის ბედკრულ სამშობლოზე უფრო ბედნიერად მცხოვრებმა შვილებმა, მშვენივრად იგრძნეს სხვის ომში ბრძოლის მთელი ტრაგიზმი და ეს ტრაგიკული განწყობა დიდი ტკივილითა და სიმძაფრითაა გამოხატული უკვე მოხუცი გრიგოლ ორბელიანის, კავკასიის ყველაზე დამსახურებული და გამოჩინებული გენერლის აღსარებაში:

დავბერდი ბედს ვერ მოვესწარ,
დაემხო ჩემი სამშობლო.
გულს მიკლავს უიმედობა.
საფლავს ჩავდივარ სიმწარით.

ბედთან შეგუებული თაობიდან სამშობლოს ურვასა და წუხილს ყველასთვის არ დაუთუთქავს გული და მეცხრამეტე საუკუნეშივე ჩნდება რენეგატთა მეორე თაობა, რომელსაც მშობლიურ ენაზე საუბარი უკვე ესირცხვილება და ცდილობს თავი დააღწიოს „პროვინციალიზმს“. ამის ტიპიური მაგალითი მოჰყავს ნიკო ნიკოლაძეს თავის მოგონებათა წიგნში. ქუთაისში რაჭიდან გადმოსული ჭიჭინაძეების ოჯახი ცხოვრობდა. „სახელათ ოჯახის თავს ბესარიონი ერქვა. თანამდებობით ის ინტენდანტის მოხელე იყო. როგორც მან, ისე მისმა ცოლმა, რუსული ჰიპორტულათ იცოდნენ: მაინც შინ და გარეთ ქართულის ხმარებას ჭუდამ დევნიდნენ. მათ სახლში ამ ენაზე ვერავინ ხმას ვერ ამოიღებდა. მათი შვილები ყველა ერთიანათ გარუსდა და რუსეთში ჩარჩა. აი, ამ ჭიჭინაძის ცოლს, ხონელ ქუთათელაძის ქალს და მამაჩემის ძველ ნაცნობს, ვახშამზე... დამტვრეული რუსულით ეკითხა თურმე მამაჩემისთვის, როცა მისგან სიტყვა „ჭინჭარი“ გაეგონა: „ჩტო ტაკოე ჩინჩარი?“ ალბათ, მამაჩემი იმ დროს შეზარხოშებული იქნებოდა საახალწლო შამპანსკით და თავს ვერ შეიკავებდა: მას მოურიდებლად უპასუხნია: „ჭინჭარი, ქალბატონო, ის მცენარეა, რომლის კრეფით ხონს წვივები დათუთქული გქონდათ“-ო.

კავკასიის ცნობილი მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი, რომელსაც 60-იან წლებში ქართველებმა დიდის აღფრთოვანებით თბილისში ძეგლი დაუდგეს, ცენტრს საიდუმლოდ უპატაკებდა თავის გეგმას, რომლის მიხედვითაც „კეთილი“ მეფისნაცვლის მიზანი იყო ქართველებისათვის „დედინაცვალი“ შეეყვარებინა „დედაზე“ მეტად.

ეს მიზანი რუსულმა პოლიტიკამ საქართველოში ნაწილობრივ განახორციელა კიდეც. თუ მე-19 საუკუნის ქართველი ოფიცერი ცარიზმის მსახურებას მშობელი ერის ინტერესებით ხსნის, მე-20 საუკუნის დასაწყისში გვევლინება რენეგატთა სრულიად ახალი, პირწავარდნილი არამზადებისა და გამყიდველების კასტა.

მათ არათუ აღელვებთ ერის ინტერესები, არამედ მზად არიან ყოველივე ეროვნული მსხვერპლად შეწირონ დიდ რუსეთს, თუკი ეს უკანასკნელი მოითხოვს ამას. 1915 წელს თბილისში ამტყდარ „პანიკასთან“ დაკავშირებით ეროვნული მოღვაწე რევაზ გაბაშვილი იგონებს: „ოსმალები შემოიჭრნენ სარაყამიშში და რუსის ჯარის უფროსი მიშლაევსკი გამოიქცა ფრონტიდან. თბილისის ევაკუაცია იყო დაწყებული, სასახლიდან, „ხრამ სლავიდან“, ბანკებიდან უკვე გაჰქონდათ ყველაფერი რუსეთში, ჯარიც გაქცევაზე იყო, რომ... ამ უტიფარმა „სარდალმა“ წინადადება მისცა საქართველოს თავად-აზნაურობას და ხალხს: რუსის ჯარი სტოვებს კავკასიას, ქართველმა ხალხმა უნდა დაანგრიოს ხიდები, სახლები, გადასწვას ბაღ-ვენახები და ყანები და დაიხიოს რუსის ჯართან ერთად, რომ შემოსულ მტერს დახვდეს მხოლოდ უდაბნო, საცა ვერც სანოვაგე, ვერც „ბალახი, ვერც ცხენი და ურემ-საქონელი და არც ადამიანი დარჩეს გამოსაყენებლადაო“.

და როგორ გგონიათ? საჩქაროდ შეკრებილ „საკრებულოში“ ეს „საკითხი“ დაისვა გასარჩევად, რადგან ოფიციალურ დაწესებულებას არ შეეძლო ოფიციალურ წინადადებაზე პასუხი არ მიეცა. კინაღამ მთავარი დამავიწყდა: მიშლაევსკი ამასთან „გვპირდებოდა“: **„თბილისსა და სხვა ქალაქებს ისე ავაფეთქებთ ჩვენ თვითონ, რომ ქვა-ქვაზედ არ დარჩეს... ოსმალების თავშესაფარავად“-ო.**

... კრებულს ჩოჩქოლი შეუდგა და პირველი სიტყვა მოითხოვა ბრწყინვალე თავადიშვილმა, განათლებულმა, მიუნხენის სამხატვრო სკოლადამთავრებულმა — დავით გურამიშვილმა და რუსულად, რასაკვირველია, წარმოთქვა, ორატორული ნიჭის მხრივ, შეუდარებელი „რეჩი“. მაგრამ... სხვანაირად დავატრიალეთ საქმე.

„ბატონებო, — ამბობდა გურამიშვილი — რუსის ჯარი, რომელიც იცავდა საქართველოს 115 წლის განმავლობაში თათართა ურდოებისაგან, სტოვებს კავკასიას. აი, ეხლა, დღეს თუ ხვალ მთავარსარდალი ააფეთქებს მხცოვან თბილისს, ჩვენი მოქალაქეობრივი წმინდა ვალია ზედმიწევნით შევასრულოთ მისი ბრძანება (?) დავანგრიოთ, გადავწვათ ყველაფერი, რომ ვერაგ მტერს არ დარჩეს არაფერი... უნდა ხელში ავიღოთ ყველამ მაყარა, თუ სხვა იარაღი არ გვექნება და გავყვეთ რუსის ჯარს... გავწყდეთ ყველანი და... თუ ერთი ქართველიც არ დარჩა, ისტორიაში მაინც დარჩება სახელი, რომ რუსის იმპერატორსა და ხალხს ისეთი ერთგული ხალხი ჰყავდა, როგორც არის რაინდი ქართველი ერი, რომელმაც არაფერი დაზოგა და თავიც დასდო, — **პატარა სამშობლო, დიდი მამულის სამსხვერპლოზედ მიიტანა“-ო.**

ასე გადაჯიშებული იყო ძველი რეჟიმის მომხრე ქართველ თავადაზნაურთა ერთი ნაწილი დამოუკიდებელი საქართველოს გამოცხადების წინა, წლებში.

ახლა ვნახოთ, რა პოზიცია ეკავათ ეროვნულ საკითხში ძველი რეჟიმის მოწინააღმდეგე სოციალ-დემოკრატიულ პარტიას თავისი ორი ფრაქციით მეუმცირესობით და მეუმრავლესობით, მენშევიკებითა და ბოლშევიკებით.

უნდა ითქვას, რომ ისინი არათუ უგულებელყოფდნენ ეროვნულ მოძრაობას, არამედ გააფთრებული იბრძოდნენ პატრიოტიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

ყველა დროის მსოფლიოს სხვა რენეგატებისაგან განსხვავებით, პარტიებად დარაზმული რენეგატები, სამშობლოს უარმყოფელობით ამაყობდნენ კიდეც.

არავის მარქსის სახელისათვის იმდენი ზიანი არ მიუყენებია, რაც ე.წ. მარქსისტებმა, მარქსიზმის ვულგარიზატორებმა გააკეთეს. ნოე ჟორდანიასთან კამათის დროს დიდი ილია წერს: თქვენნაირი „მარქსისტების“ შემხედვარე მარქსი იხვეწებოდა, დამაბრალეთ ყველაფერი გარდა მარქსისტობისაო“. პიროვნების თავისუფლება და ერთა თვითგამორკვევა ქართველი „მარქსისტების“ „სახარებაში“ კი ეწერა, მაგრამ მთელი ცხოვრება მათ პიროვნების თავისუფლებისა და ქართველი ერის თავისუფლების წინააღმდეგ იბრძოლეს.

ამ თეზის დასტურად მათი საქმიანობის ყოველი ნაბიჯის გახსენება იკმარებს, მაგრამ ეს ცხადია არ მოხერხდება და ამიტომ მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტზე გავამახვილებ ყურადღებას.

1907 წლის 30 აგვისტოს ყაჩაღურად მოჰკლეს 70 წლის მოხუცი, ერის მამად მოვლენილი წმინდა ილია მართალი. მთელი საქართველოსთვის ეს ფაქტი თავზარდამცემი იყო. დიდ ილიას გლოვობდა მთელი ერი, ერთადერთი პარტია, რომელიც სიხარულით შეხვდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობას, იყო სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

პეტერბურგში ამ საშინელი ცნობის მიღების შემდეგ კარგ ხასიათზე დამდგარმა ბოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 26 მაისი

შევიკმა ვალიკო ჯუღელმა ცინიკურად განაცხადა: „ლეს რუბიატ — შჩეპკი ლეტიატ“. შემდეგ კი ამ სიტყვებს, გადმოქართულებულს, ხშირად იმეორებდა მენშევიკი ნოე ჟორდანია. „როცა ტყეს ჭრიან ნაფოტები ცვივაო“. იმდენად ხშირად, რომ ხალხს ამ „ისტორიული“ ცინიზმის ავტორად იგი მიაჩნია.

ბედის დაცინვა იყო სწორედ, ილიას მკვლელობიდან 11 წლის შემდეგ ილია ჭავჭავაძის ნაოცნებარ საქართველოში, იმ დამოუკიდებელ საქართველოში, რისთვისაც ჯვარს ეცვა ილია, ნოე ჟორდანია პრეზიდენტი აღმოჩნდა, ვალიკო ჯუღელი კი მთავარსარდალი...

არათუ სიცოცხლე არ აპატიეს ილიას, სიკვდილის შემდეგაც ცეცხლითა და მახვილით ებრძოდნენ მის სახელს.

ბიბლიოთეკებიდან გამოყარეს მისი წიგნები...

1928 წელს ფილიპე მახარაძე ბენიტო ბუაჩიძესთან კამათისას, რომელსაც ილიას შემოქმედების სასარგებლოდ მცირე რამ წამოსცდა, განრისხებული დაწერს: „ამხ. ბენიტო ბუაჩიძე კომუნისტია და ამასთან პროლეტარული მწერლობის ერთერთი ხელმძღვანელი, მას ამიტომ უფრო მეტი მოეთხოვება, მეტი ცოდნა“ „ამხ. ბუაჩიძე არ იცნობს იმ საგანს რაზედაც სწერს, თორემ ასეთ ველურ რამეს არ დასწერდა. ეგნატე ნინოშვილს რომ შეეძლოს ამ სიტყვების მოსმენა, (ბ.ბუაჩიძის სიტყვებისა, ნ.გ.) იგი ხომ საფლავშიაც კი გადაბრუნდებოდა“.

მაინც რა თქვა ასეთი ბუაჩიძემ ცალკე ხელისუფლების რისხვა რომ გამოიწვია და ცალკე ნინოშვილის სახელი „შეურაცხყო“? აი, რა: „ეგნატე ნინოშვილმა ღირსეულად შესძლო ილიას მემკვიდრეობა“-ო.

ცხადია, ამ ფრაზის გამო გაწიწმატდებოდა ფილიპე მახარაძე, რადგან მისი აზრით „ილია ჭავჭავაძე იყო: გლეხების მებატონე, იგი იყო მუშებისა და გლეხების ექსპლოატატორი. როგორც მწერალი ი.ჭავჭავაძე იყო რეაქციონერი, მემამულეების ინტერესების ერთგული დამცველი, ფეოდალური საქართველოს მათაყვანებელი და მონარქისტი... კონტრრევოლუციონერი“ (იხ. კრებული „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“, ფ.მახარაძის წინასიტყვაობით, თბ. 1931 წ. გვ. 15).

სოციალ დემოკრატები, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გაავფთრებით მებრძოლნი, იმპერიის ერთიანობასა და განუყოფლობას (მათი იდეალებიდან გამომდინარე) უფრო მედგრად იცავდნენ ვიდრე თვით თვითმპყრობელობა.

900-იან წლებში დაიწყო თუ არა ბრძოლა საქართველოს ავტონომიისათვის, სოციალ-დემოკრატებმა გაშლილი ფრონტით შეუტიეს ამ იდეის ალამდარებს. დაიწყეს ტერორი მათ წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატებს აშინებდათ რუსეთისაგან დაპყრობილი ერების გამოყოფას არ მოჰყოლოდა პროლეტარიატის საერთაშორისო მოძრაობის გათიშვა. დიდი ილია ამ წინასწარ დაგეგმილი, იდეურად „გამართლებული“ ტერორის მსხვერპლი გახდა.

სოციალ დემოკრატთა ეროვნული პოზიციის დასახასიათებლად მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს ერთი პატარა დეტალი რ.გაბაშვილის მოგონებიდან:

„როცა ჩვენმა (იგულისხმებიან ფედერალისტები, ნ.გ.) შეგროვილმა და გერმანულ წყალქვეშეთგანაც ჩამოტანილმა იარაღმა დაიწყო დენა ხალხში და აქა-იქ რაზმები სდგებოდა მომავალი საქართველოს დასაცავად, ასეთ ამბავს შევესწარი: გოლოვინის პროსპექტზედ, რუსის „სობორის“ წინ, გამწკრივებული იყო რუსის ჯარის „ოპოლჩენტების“ რაზმები... რაღაც ჩოჩქოლი იყო. ფედერალისტებს ხალხში და ჯარშიაც დაერიგებინათ პროკლამაციები, სადაც „საქართველოს ავტონომიას“ მოითხოვდნენ. სოციალ-დემოკრატიის აგიტატორები დარბოდნენ ხალხში და ჯარისკაცებსაც, რომელნიც უგულოდ და გახევებულნი იდგნენ, თავიანთ ფიქრებში წასულნი, პროვოკატორულად ეუბნებოდნენ: „ანი ჰოატ ცარია ხატიატ. ავტონომიუ ტრებუიუტ“... ხელიდანაც ჰგლეჯდნენ ყველას პროკლამაციებს და ხევდნენ. ამ დროს ერთი მხრიდან გამოჩნდა ნოე რამიშვილი (მენშევიკი ნ.გ.) და მეორე მხრიდან შალვა ქარუმიძე (შემდგომში ეროვნულ-დემოკრატი, ნ.გ.). — ბატონო ნოე, — შევესწარი ამ დიალოგს, — რასა ჰგავს ესა, თქვენი პროპაგანდისტები დადიან და ქადაგებენ ავტონომიის წინააღმდეგ. ხომ ხედავთ დროება იცვლება და... იცოდეთ დუშეთის მაზრაში 600 შეიარაღებული რაზმელი გვყავს, თქვენს პროპაგანდისტებს დავაჭერინებ... არავის შევუშვებით.

ნოე რამიშვილმა ჩვეულებრივი რიხით და თითის ქნევით უპასუხა „ჯვაროსნებზე“ მითითებით:

— ხომ ხედავთ ამას 6000 რუსის ჯარს წამოვიყვან და მთელ დუშეთის მაზრას ნაცარტუტას ავადენო“...

ბედი არ გინდა? ეს ნოე რამიშვილი შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო ჟორდანიას არჩევამდე...

თუ მეცხრამეტე საუკუნეში თავად-აზნაურთა ბედოვლათი ნაწილი ქართულ მიწებს ნაჭერ-ნაჭერ უცხოტომელებზე ჰყიდდა, თუ მეფის რუსეთი საქართველოში მომხვდურთა და ლტოლვილთა დამკვიდრებას ხელს უწყობდა, მეოცე საუკუნეში ამ ვერაგულ პოლიტიკას სოციალ-დემოკრატებმა დაადგეს გვირგვინი. მათ არა თუ გაყიდეს, გულუხვად გააჩუქეს წინაპართა სისხლით მორწყული ქართული მიწები... გარდა ამისა ქართველი ერისათვის ფიქციადქცეული ერთა თვითგამორკვევის პრინციპის ლოზუნგი საქართველოში შემოხიზნულთ აუფრიალეს და ისედაც დაჭრილ-დანაწევრებულ იბერიაში პატარ-პატარა ხელოვნური სახელმწიფოები აღმოაცენეს.

1918 წლის მარტში, როცა ბრესტ-ლიტოვსკში რუსეთსა და გერმანიას შორის ზავი დაიდო, ერთი ხელის მოწერით საქართველომ დაჰკარგა ყარსი, არტაანი და ბათუმი. ტროცკის, რომელმაც მოაწერა ამ ზავზე ხელი, უთქვამს: „ხელის მოწერამდე მოიწვიეს საქართველოსა და კავკასიის წარმომადგენელნი, მათი მხარეების ინტერესების დასაცავად“. მაგრამ გეგეჭკორმა, მაშინ ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოუცხადებელი საქართველოს გამოცხადებულმა მინისტრმა, — გაუგზავნა დეპეშა: რ.გაბაშვილს ზეპირად მოჰყავს ამ დეპეშის ტექსტი და უთითებს დეპეშის პუბლიკაციის წყაროსაც. გეგეჭკორი მოლაპარაკების მონაწილე მხარეებს აცნობებდა: „რადგან კავკასია და საქართველოც შეადგენს რუსეთის ნაწილს, ზავის საკითხი რუსების კომპეტენციას შეადგენსო“. უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიან ხოლმე და ასეც მოხდა. საქართველოს ბედი ბრესტლიტოვსკის ზავზე ისე გადაწყდა, რომ ზავის საშუალებით ჩვენი მიწების „კანონიერად“ გამცემლებსა და მიმღებებს უბრალო მოკითხვაც არ ჰქონიათ.

თვითმპყრობელობამ ტირიფონის [illegible] უხვმოსავლიანი მიწებიდან ქართველი გლეხების აყრა-გასახლება და აქ სამხედრო პოლიგონის მოწყობა გადაწყვიტა. რასაც, ცხადია, მოჰყვებოდა რუსთა მორიგი ჩამოსახლება. ცარისტული შოვინისტური პოლიტიკის ეს გასაიდუმლოებული პროექტი ქართველმა პატრიოტებმა სააშკარაოზე გამოიტანეს და განგაში ატეხეს. მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველი სოციალ-დემოკრატები მოსალოდნელი იყო, ახლა მაინც ამოიღებდნენ ხმას ეროვნული საკითხის დასაცავად, რადგან ამ ვერაგული აქციის განხორციელებით ეროვნულ შეურაცხყოფას რომ თავი დავანებოთ, გლეხთა ინტერესებიც ილახებოდა, მაგრამ ეს გლეხები ქართველები იყვნენ და მათ დასაცავად კლასობრივი ბრძოლის მებაირახტრეთ ხმა არ ამოუღიათ...

როცა „პოლიგონის“ მოწყობის საქმე ჩაეშალა, თვითმპყრობელობამ მორიგი ვერაგული მახის დაგება გადაუწყვიტა ქართველ ხალხს. რ.გაბაშვილი იგონებს:

„მუღანის უდაბნოში (აზერბაიჯანში, ნ.გ.) მრავალი წლების განმავლობაში ცდილობდნენ ორი კურდღლის დაჭერას. ბამბის პლანტაციების მოშენებას და რუსეთიდან მოყვანილი ხალხის კიდევ ერთი დიდი „პუნქტის“ შექმნას კავკასიაში. მრავალი ოქრო, შრომა და სიცოცხლე ჩაჰყარეს რუსის გლეხობისა, ამ, თითქმის უიმედო, ავანტიურაში, და, მათვე პირველი შემოსევებით გაპარტახებულ აზერბაიჯანის აყვავება მოინდომეს. ხალხი ტყუილად იხოცებოდა მალარიისაგან, ბამბის მაგიერ, მარილის ზეწარი ეფინებოდა ზედაგს და მოინდომეს მესამე და მეოთხე კურდღლის დაჭერა ახალი პროექტით: უმაღლესი ბრძანებით, უნდა შეკრულიყო მტკვრის მთელი ხეობის წყალი — მუღანის უდაბნოს მოსარწყავად. აკრძალული უნდა ყოფილიყო კანონით, მტკვრის სათავიდან დაწყებით, ყველა შემდინარე წყლით სარგებლობა მოსახლეობისათვის... „ჩტობი ნი ადნა კაპლია ლიშნეი ვადი ნე პრაპადალა, — ვსე დლია მუგანსკოი სტეპი“. — ასე ეწერა პროექტში ამ პროექტის ტექსტიც „კლდემ“ (ეროვნულ დემოკრატთა ორგანო, ნ.გ.) გამოიტანა გარედ და განგაში ატეხეთ: „არ გვაკმარებენ ტერიტორიის გამოცლას, ეხლა წყალსაც გვიწყვეტავენ და მთელ საქართველოს მშრალზე დასმას უპირებენ“, ვყვიროდით ჩვენ, და, ჩვენდა სასირცხვილოდ, „ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა“ — რჩებოდა ჩვენი ხმა ქართული სოციალისტური პრესის უდაბნოში — უკაცრაობაში, უკაცრიელობაში“.

სოციალ დემოკრატების ეროვნულ პოზიციას კარგად ახასიათებს ორი ერთი შეხედვით დიდი პოლიტიკისათვის „უმნიშვნელო“ ფაქტი. იოსებ იმედაშვილი იგონებს; პატრიოტული ლექსის გამოქვეყნებისათვის გ.ქუჩიშვილს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან გარიცხვა დაუპირესო.

იქნებ მახარაძის ფრაქციის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ შეიცვალა ამ მხრივ რამე? ქართული ლიტერატურის, ქრესტომათიის სასკოლო კურსის შემდგენლის, ივანე გომელაურის მოგონებით, 20-იანი წლების დასაწყისში, პირადად ფილიპე მახარაძის განკარგულებით, სასკოლო სახელმძღვანელოებიდან ამოიღეს რაფიელ ერისთავის ლექსი „სამშობლო ხევსურისა“, იმ მოტივით, რომ აღნიშნული ნაწარმოები ხელს უწყობდა ნაციონალური გრძნობების გაღვივებას.

აღნიშნული პარტიის ეროვნული პოლიტიკისათვის დამახასიათებელია ალბათ ასეთი „წვრილმანიც“. მენშევიკებმა ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ერეკლე მეორის სახელობის სკოლა გადააკეთეს ჩეხოვის სახელობის სკოლად, მიხაილოვის (!) გამზირი პლეხანოვის (!) გამზირად. ამ მხრივ ბოლშევიკები უფრო შორს წავიდნენ და საქართველოს ქალაქების, სოფლების, ქუჩების, მოედნების ნაწილს „ხალხისთვის უანგაროდ მებრძოლებმა“ საკუთარი გვარები მიაკუთვნეს, ნაწილს კი რუსი, უკრაინელი, სომეხი, გერმანელი და კიდევ სხვა მრავალი რესპუბლიკისა თუ ქვეყნის რევოლუციონერებისა და მოღვაწეთა, რომელთა უმრავლესობას ფეხი არ დაუდგამს საქართველოში და შესაძლოა იმასაც ვერ იტყოდნენ ზუსტად, თუ რომელ კონტინენტზე მდებარეობს საქართველო. ჩვენი დიდი წინაპრების, ჩვენი მეფეების, მხედრებისა და მოღვაწეთა სახელები კი სრულიად მოშალეს ქართული ტოპონიმების რესხიდან, რის გამოსწორებასაც ახლა ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობს ჩვენი ხალხი.

მენშევიკური ხელისუფლების ეროვნული პოზიცია კარგად ჩანს კიდევ ერთი „წვრილმანიდან“. 1918—1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთი იყო „ერთობა“, რომელსაც სათაურის ზემოთ აწერია: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანო“.

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც — 25 მაისს, როდესაც გადაწყდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 26 მაისისათვის, ცნობილმა მენშევიკმა კაკი წერეთელმა, იმდროინდელ მოღვაწეთა გადმოცემას თუ დავუჯერებთ, ისტერიულად იყვირა: „რას შვრებით, თქვენ ღუპავთ რუსეთის დემოკრატიასო“. არადა, ყოველივე ეს დასაჯერებელია, რადგან მენშევიკებიც და ბოლშევიკებიც ყოველთვის ნაჭუსიანად აცხადებდნენ თავიანთ პოზიციას ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით.

ვიდრე მათ მიერ ჩამოყალიბებულ პოზიციაზე ვისაუბრებ, უპრიანია დაისვას კითხვა. როგორ მოხვდნენ დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში სწორედ ის პირები, რომელნიც მთელი სიცოცხლე ამ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, რუსეთთან ერთიანობისათვის იბრძოდნენ?

ამ კითხვის პასუხი, როგორ პარადოქსადაც არ უნდა ჟღერდეს, ამავე კითხვაში იგულისხმება. მენშევიკებმა სწორედ იმიტომ ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება, რომ უარყოფდნენ საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფის მომავალ შესაძლებლობას.

საქმე იმაშია, რომ ნიკოლოზ მეორის გადადგომის შემდეგ რუსეთში ძალაუფლება ხელთ იგდო კერენსკის დროებითმა მთავრობამ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკურმა ფრაქციამ. დროებით მთავრობაში ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავათ ქართველ მენშევიკებს: კარლო ჩხეიძეს, კაკი (ირაკლი წერეთელს). ბუნებრივია მათ საქართველოში მენშევიკები მოავლინეს. ცოტა მოგვიანებით, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როცა კერენსკი ქალის კაბაში გადაცმული გაიქცა პეტერბურგიდან, მეზღვაურის სამოსელში „გამოწყობილმა“ წერეთელმაც და სხვა მენშევიკებმაც თბილისისაკენ აიღეს გეზი.

ასე რომ, ქართველ მენშევიკებს 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, მხარს უჭერს რუსეთის დროებითი მთავრობა, მეორე მხრივ, იცოდა რა კარგად კავკასიის მეფისნაცვალმა, იმპერატორის ბიძამ, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ სოციალ-დემოკრატების პოზიცია ეროვნულ საკითხში, რუსეთის მომავალი ინტერესებისათვის მან არჩია თბილისიდან წასვლის წინ ხელისუფლება მენშევიკებისათვის გადაელოცა. კონკრეტულად მან დაიბარა ჟორდანია და ხატისიანცი და ჩააბარა კავკასია „რუსეთთან ერთიანობის სასტიკი დაცვისათვის“. ერთი სიტყვით, მეუმცირესოთა მხარეს აღმოჩნდა ძველი რეჟიმის მოწინააღმდეგე კერენსკის მთავრობა და ძველი რეჟიმის დამცველი კავკასიის მეფისნაცვალი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატიამ ძალაუფლება მემკვიდრეობით მიიღო. ამაში კი განმსაზღვრელი როლი ითამაშა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეროვნულმა, უფრო ზუსტად, ანტიეროვნულმა პოზიციამ...

ბედმა კი ქართველი პატრიოტები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის სიცოცხლეს წირავდნენ, კვლავ ოპოზიციის კუთხეში მიაგდო... მაგრამ ერთი მხრივ მათი ძალისხმევით, მეორე მხრივ თურქეთისა და გერმანიის მოთხოვნით, მენშევიკები იძულებულები არიან ნაწილობრივ დაარღვიონ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის „ანდერძი“ და გადადგან პირველი ნაბიჯი დამოუკიდებლობისაკენ. მენშევიკებს ამ ნაბიჯის გადასადგმელად აიძულებს ისიც, რომ 1917 წლის ოქტომბრიდან რუსეთში ბოლშევიკური ხელისუფლებაა და ძალაუნებურად უნდა გამოეთიშონ ბოლშევიკურ რუსეთს. ვსაუბრობ „ანდერძის“ ნაწილობრივ დარღვევაზე, რადგან პირველი რაც მენშევიკებმა გააკეთეს იყო ის, რომ გამოაცხადეს არა საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. ამიერკავკასიის სეიმმა 9 აპრილს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. სხდომას თავმჯდომარეობდა კარლო ჩხეიძე. საინტერესოა ამ სხდომაზე სოციალ-დემოკრატ არსენიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც ჭირის ოფლში ცურავს იმის გამო, რომ დამოუკიდებლობაზე უხდება საუბარი. იგი აცხადებს: „მას სურს რუსეთის ნამდვილმა დემოკრატიამ, არა საბჭოებმა, სწორედ გაიგონ ამიერ-კავკასიის [illegible] ჩამოშორება... მან (ე.ი. რუსეთის მენშევიკურმა ფრაქციამ, ნ.გ.) უნდა დაინახოს რომ დამოუკიდებლობა იძულებით ხდება. „რომ ჩვენ მათთან გვაერთებს ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ ამ სიტყვებს სეიმი ტაშით შეხვდა. (იხ. გაზ. „საქართველო“ 1918 წ. №79).

ამიერკავკასიის — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების უდღეური ცდა, როგორც მოსალოდნელი იყო, მალე დამთავრდა მარცხით და 1918 წლის 26 მაისს, შესაძლებლობიდან ერთი წლის დაგვიანების შემდეგ, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ქართველი ერის ცხოვრებაში ამ უმნიშვნელოვანეს აქტს სიხარულის ცრემლით, აღფრთოვანებით, აღტკინებით ულოცავდნენ ერთურთ ქართველნი. საზეიმო ცერემონიას ესწრებოდნენ უცხოელები. „მივესალმებით მებრძოლ საქართველოს თავისუფალ შვილებს, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს თავისუფალ შვილებს, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“. გვილოცავს შორეული პოლონეთის წარმომადგენელიც კი და, აი, ამ ღირსსახსოვარი დღიდან გადის 9 დღე და დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის გაზეთში „ერთობა“, გამოქვეყნდება:

„ჩვენი დემოკრატია რომელიც იბრძოდა რუსეთის დემოკრატიასთან ერთად და მზად იყო კვლავ ამ ძველი ნაცადი გზით ევლო, დღეს იძულებული შეიქმნა თავის მოქმედების ასპარეზი საქართველოს ფარგლებით განესაზღვრა, ერთის მხრით, საერთაშორისო მდგომარეობამ, გარეშე მტრის საფრთხემ და, მეორეს მხრით, ამიერკავკასიის მთლიანობის დარღვევამ აიძულა, ქართველი დემოკრატია, გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა. აი, სწორედ ამ გარემოების, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების გამო ეძლევიან ჩვენი ნაციონალისტები უსაზღვრო სიხარულს. შეუძლია ქართველ დემოკრატიას ნაციონალისტებთან ერთად მიიღოს მონაწილეობა ამ ზეიმში? ცხადია, არა, იმიტომ რომ ქართველ დემოკრატიას ჯერ კიდევ არ მიუღწევია თავის მიზნისთვის. საქართველოს დამო-

დასასრული მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 26 მაისი

მესამე გვერდიდან

უკიდებლობა მისთვის მიზანს არ შეადგენდა. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებას დღევანდელ პირობებში დემოკრატია უცქერის როგორ [illegible] ნაბიჯს, გარეშე ძალთა მიერ [illegible]". („ერთობა", 11 ივნისი, 1918 წ. №113).

ახლა ქართველი ბოლშევიკების განაცხადიც ჩავიკითხოთ. თავისუფალ საქართველოში გამოდიოდა ბოლშევიკების გაზეთი „საქართველოს კომუნისტი". რედაქტორი იყო ფ.მახარაძე. ეს გაზეთი პირდაპირ აცხადებდა: „ჩვენ პროლეტარიატის პარტია, კლასობრივი პარტია ვართ და ყოველ მოვლენის დაფასებაში, ყოველ პრაქტიკულ მოქმედებაში გამოვდივართ პროლეტარიატის, როგორც განსაკუთრებული საზოგადოებრივი კლასის ინტერესებიდან, ამ ინტერესებს ვაყენებთ პირველ ადგილზე და მათ ვუმორჩილებთ ყველა სხვაგვარ ინტერესებს. აქედან ცხადია, რომ ჩვენ ვერ დავისახავთ დამოუკიდებელ სახელმძღვანელო პრინციპად ერის, როგორც ერთი მთელის, ინტერესების დაცვას".

„ჩვენ ეროვნული მოძრაობის დროს ხაზს ვუსვამდით პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებს და ეროვნული იდეალების ნაცვლად კლასობრივ იდეალებს ვაყენებდით წინ.

ჩვენ ახლაც ვამტკიცებთ, რომ ეს ერთად ერთი სწორი პოზიცია იყო მარქსიზმის თვალსაზრისით. ნაციონალისტს ისევე არ შეუძლია ამის გაგება, როგორც ბრმას არ შეუძლია წარმოიდგინოს თეთრი ფერი. რაც უნდა კარგად აუხსნათ: „საკვირველი არ არის, თუ მათ ჩვენ ქართველი ერის მოღალატეებად და სხვის დაქირავებულ და მოსყიდულ აგენტებად მივაჩნივართ". და ბოლოს.

„მუშათა კლასი გაიმარჯვებს არა დაქუცმაცებითა და უფრო დიდი სახელმწიფოებრივი სხეულიდან ჩამოშორებით, არამედ თავის ერის გაბატონებული კლასიდან მკაცრი გამიჯვნით და სხვა ერთა მშრომელ ხალხთან დაკავშირებით და დაახლოებით.

ჩვენი მოქმედების სახელმძღვანელოა არა ეროვნული თვით-გამორკვევა, არამედ კლასობრივი თვით გამორკვევა". (საქართველოს კომუნისტი, 1920 წ. №7) ამ აღიარების გაცნობის შემდეგ მკითხველს აღარ გაუკვირდება ის ფაქტი, რომ გაზეთის სახელწოდებად გამოტანილი სიტყვა „საქართველო" დასტამბულია კუთხეში პაწაწკინტელა ასოებით, კომუნისტი კი დიდი შრიფტით, ალბათ იმ მოსაზრებით, საქართველოს სიყვარული არავინ დაგვწამოსო...

ასეთი ანტიეროვნული პოზიციის გამო იყო, რომ საქართველოს ეროვნულ სამფეროვან დროშას არც მენშევიკები უყურებდნენ აღფრთოვანებით და არც ბოლშევიკები. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ზეიმზე, სასახლის თავზე აფრიალდა არა სამფეროვანი ქართული ეროვნული დროშა, არამედ მენშევიკების წითელი ინტერნაციონალური დროშა, რომელზეც რუსულად ეწერა: „და ზდრავსტვუეტ როსისკოე უჩრედიტელნოე სობრანიე". ქართველმა პატრიოტებმა წითელი დროშა ჩამოხსნეს და აღმართეს სამფეროვანი. მთავრობამ სასწრაფოდ მიიღო ღონისძიება და სამფეროვანი დროშა კვლავ პარტიული წითელი დროშით შეცვალა. ეროვნული დროშის აღმმართველებს კი შავრაზმელები უწოდა. (იხ. ამ საკითხზე გაზ. „საქართველო" 1918 წ. 31 მაისი, გაზ: „ერთობა". 1919 წ. 1 ივნისი). შემდეგში ხალხის მოთხოვნით იძულებულნი გახდნენ მეტი პატივით მოპყრობოდნენ დამოუკიდებელი საქართველოს სიმბოლოს, სამფეროვან ეროვნულ დროშას. დიდხანს მთავრობის სასახლის თავზე რუსულწარწერიანი წითელი (პარტიული) და სამფეროვანი (ეროვნული) დროშები ერთად ფრიალებდნენ...

ეს ფაქტი თითქოს სიმბოლურად ახასიათებს 1918—1921 წლების საქართველოს მდგომარეობას. მენშევიკების მთავრობა იმ წლებში ერთდროულად ორი უფლის მსახურია, ეროვნულისა და კლასობრივის. „ვერვის ხელეწიფების ორთა უფალთა მონება, ღვთისაი და მამონაისი", — გვასწავლის სახარება. ვერც მათ შეძლეს. თავისი უნიათობით დააჩქარეს დამოუკიდებელი საქართველოს დაღუპვა: სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთი ფრაქცია 1921 წლის 25 თებერვალს უცხო ძალით მომდგარმა მეორე ფრაქციამ შეცვალა. ქართველი- ბოლშევიკების წინამძღვრობით რუსეთმა მეორედ მოახდინა საქართველოს ანექსია. მთავრობის სასახლის თავზე, თავდაპირველად, კვლავ ორი დროშა ფრიალებდა — ინტერნაციონალური — ბოლშევიკური (წითელი) და ეროვნული (სამფეროვანი). ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ბოლშევიკებმა წინამორბედთა შეცდომა აღარ გაიმეორეს, „ორთა უფალთა მონებას" თავი ანებეს და ეროვნული დროშა ჩამოხსნეს; ამით ის საკითხიც მოხსნეს დღის წესრიგიდან, რისი სიმბოლოც ეროვნული დროშაა, რის გამოც განვლილი ათწლეულების მანძილზე ქართველ კაცს საკუთარ სამშობლოში მასპინძლის კანონიერი უფლება ჩამოერთვა...

დღეს, 26 მაისს, საქართველოს დედაქალაქში კვლავ აღიმართება ჩვენი ეროვნული დროშა.

ეს არის დიდი შემობრუნება.

წერილი მინდა დავამთავრო ქართველ პატრიოტთა მიერ 1918 წელს გერმანიაში გამოცემული „ქართული გაზეთის" 11 ივნისის ნომრიდან ამოწერილი ერთი შეგონებით, იქნებ დღეის შემდეგ მაინც გავამართლოთ ჩვენი წინაპრების ლაღადისი. აი, ეს შეგონებაც:

„ერის არსებობისათვის, მისი ბედნიერებისათვის აუცილებელია სალი ეგოიზმი. ეს უნდა შეიგნოს ქართველმა ერმა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაადგეს წმინდა ქართულ პოლიტიკას, საქართველოს და მხოლოდ საქართველოს საბედნიეროდ მოქმედებას. ყოველი ერი, როგორც ყოველი კერძო პიროვნება, ზრუნავს უპირველეს ყოვლისა საკუთარი ბედნიერებისათვის.

საჭიროა ჩვენც ვიფიქროთ ჩვენს ბედზედ, საჭიროა ყველაზე მაღლა დავაყენოთ ჩვენი ქვეყნის ინტერესები.

არც ერთი ერი ჩვენთვის თავს არ გაიცხელებს.

ჩვენ ვართ აღელვებულ ზღვაში. ჩვენი ნავი პატარაა. აგერ საშინელი ტალღები საცაა გვშთანთქავენ. საჭიროა მთელმა ქართველმა ერმა მოიკრიბოს მთელი ძალები და ერთსულოვნად მოუსვას ნიჩაბი, თუ სურს გადარჩენა. ნუ დავივიწყებთ რომ საჭიროა მთელი ჩვენი ძალების მოკრება, რომ შეგვეძლოს ბრძოლა ამ საშინელ ტალღების წინააღმდეგ. თუ ერთ წუთს ჩვენი ყურადღება გაიტაცეს სხვა რაიმე მოვლენებმა, შთავინთქებით.

დაე, წარსული შეცდომები გამოგვადგნენ მომავლისათვის.

ყოველი ახალი შეცდომა მომაკვდინებელია ჩვენთვის..."

26 მაისი, 1989 წელი.

P.S. ეს ნერილი დაიბეჭდა 1989 ნლის 26 მაისს „ლიტერატურულ საქართველოში". ეს ის დრო იყო, როცა 26 მაისის მნიშვნელობა ძალიან ცოტამ თუ იცოდა და ჯერ კიდევ სიამაყით აფრიალებდნენ ნითელ დროშებსა და ნითელ მანდატებს...

მაშინ როგორ ნარმოვიდგენდი, რომ ისტორია თითქმის დეტალებში განმეორდებოდა...

სამნუხაროდ, ნარსული შეცდომები არ გამოგვადგნენ მომავლისათვის. თითქმის ყველაფერი შეუცდომლად გავიმეორეთ...

და კიდევ ერთი:

ვისთვისაც ასეთი ნერილებისთვის მაშინ „არანორმალი" ვიყავი, ახლაც იმ ადამიანებს უპყრიათ ხელთ მმართველობის სადავეები...

26 მაისი, 1994 წელი

## საქართველოს განცდა

ყველაზე დიდი ტკივილებით, მძაფრი განცდებით
მაწუხებს შენი სიყვარული და შენი ხვედრი,
ღმერთების შემდეგ საქართველო არის პირველი,
პირველი არის სამშობლო და ქართველი ერი.
ჩემი სამშობლო საქართველო, მე მათრობს მისი
მოლანდება და ელვარება წარსულის დიდის,
გამოქროლება ძლევამოსილ საუკუნეთა,
ტრიალებს მიწა, ცა ელვარებს და წლები მიდის.
როცა სამყარო ღმერთის მიერ ხელით შექმნილი
მეძლევა ჩემი შეგრძნებების მღელვარე ზღვაში
შენზე ფიქრები და ოცნება ძლიერი ცეცხლით,
გარდარეული სიყვარულით გადადის ცაში.
გადადის ცაში, მაგრამ წუთით არ ტოვებს მიწას,
არის სამშობლო ქვეყნისა და ზეცის შეკრება,
უფალთან ერთად ყველა გრძნობა და სიხარული,
ყოველი დარდი, მწუხარება, ტანჯვა მეხება.
ეხება სხეულს შორეულ დროს დაღვრილი სისხლი,
უხსოვარ წარსულს მხედრის მიერ ნატყორცნი შუბი,
ელვა მოქნეულ მახვილების, ჯვრის ამაღლება,
ზეცით მომსკდარი ლოცვა, ცრემლი მაცხოვრის, უფლის.
შენება ციხეკოშკების და სიმაგრეების,
ეკლესიების, დარბაზების, დიდი ტაძრების,
და შემდეგ ნგრევა, იავარქმნა, განადგურება,
მოთქმა დედების, ღვთისმშობლის, მოთქმა ზარების.
რაც კი აშენდა და დაინგრა მოაქამამდე,
სადაც მახვილი მოიქნია მრისხანე მტერმა,
სულის სიღრმეში ყოველივე აღბეჭდილია,
არდავიწყება ვერ წაშალა მრავალმა წელმა.
შიშვლდება მთელი ისტორია ჟამთა დინებით,
იავარჰყოფის შემდეგ მაინც ანათებს სვეტი,
სიკვდილის ჯარმა ვერ დასძლია სიცოცხლე ქვეყნად,
არ მოიდრიკა საქართველომ ამაყი ქედი.
მთელი არსებით ჩვენი ერის ვგრძნობ დაბადებას,
სვეტიცხოველი ვერ დაამხო ჟამთა დინებამ,
დღეს მოსდევს ღამე, ბნელს სინათლე, სიკვდილს სიცოცხლე,
სიცოცხლე მოდის უკვდავებით მოედინება.
მოედინება და ბნელს ნათლის სხივები ჰფანტავს,
ჭიხვინებს ცხენი მარადიულ სიცოცხლის განცდით,
სასუფეველის ელვარებით ანათებს ზეცა
და იფანტება მწუხარება, გლოვა და დარდი.
ამაოების, უგნურების ორუმტრიალში,
სული ასკდება თავგანწირვით კედლებს, შიშველი
არის სიმართლე ჩვენი ბრძოლა, ჩვენი კვეთება
და ღმერთის შემდეგ საქართველო არის პირველი,
ჭიხვინებს ცხენი მარადიულ სიცოცხლის განცდით,
სამშობლოს ჩემი სიყვარული ერთადერთია,
დღეს საქართველომ დაიკავა უსაზღვროება,
საქართველოზე დიდი მხოლოდ მამალმერთია.
დრო წინ მიიწევს უფლის მიერ შექმნილი სივრცე
მეძლევა მკვეთრი შეგრძნებების მღელვარე ზღვაში,
ჩემი ძლიერი სიყვარული ჩაუქრობელი
მგზნებარე ცეცხლით ლაჟვარდოვან გადადის ცაში.
მაღლდება ცაში, ანგრევს გლოვას, სევდას და ტკივილს,
მზე ცის დედოფლის ელვარებით ჩნდება შიშველი,
ძლევამოსილი ერი ლოცვად ტაძარში შედის
და ღმერთის შემდეგ საქართველო არის პირველი!

ირაკლი წერეთელი
10 მაისი 1992 წელი
ქრისტეშობიდან

# საპარლამენტო სკანდალების ისტორიიდან საქართველოში

საქართველოს პარლამენტში ბოლო ხანებში არა ერთი ინციდენტი მოხდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებში არც თუ ისე იშვიათად მომხდარი მსგავსი შემთხვევებისა, ქართველი საზოგადოებრიობის გარკვეულმა ნაწილმა საპარლამენტო სკანდალის ფაქტები მაინც ერთგვარი გულისტკივილით აღიქვა.

რას იზამ, როგორც იტყვიან „ასეთია ცხოვრება". საქართველოს ამჟამინდელი არეული, რთული და გაურკვეველი მდგომარეობა თავის დაღს ასვამს პარლამენტის მუშაობას. მასში, როგორც სარკეში, ისე აირეკლება ჩვენი ხშირად აბსურდამდე მისული ყოფა და მოქმედება.

ხშირად გაიგონებთ, ასე იმიტომ ხდება, რომ საქართველოში საპარლამენტო მუშაობის ისტორიული გამოცდილება არ არსებობსო. გარკვეულწილად ეს შეხედულება მართალი გახლავთ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მცირე სამწლიან პერიოდს, როცა დემოკრატიული რესპუბლიკის ჯერ ეროვნული საბჭო (პარლამენტი), შემდეგ კი დამფუძნებელი კრება ფუნქციონირებდა.

მაგრამ აი სწორედ 1918-21 წლებში საქართველომ საპარლამენტო მუშაობის გარკვეული პრაქტიკა და გამოცდილება მიიღო. რა თქმა უნდა, იმდროინდელი პრაქტიკა დღეს მხოლოდ ისტორიის კუთვნილებასღა შეადგენს და მისი თანამედროვე პირობებში მექანიკურად გადმოტანა შესაძლოა მიზანშეწონილიც არ იყოს, მაგრამ ვფიქრობთ მკითხველისათვის საინტერესო იქნება მისი გაცნობა.

ამ წერილში მეტ-ნაკლებად ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც დღესაც აქტუალურია. ესენი გახლავთ დამფუძნებელი კრების (პარლამენტი) სხდომაზე დასწრებიდან განთავისუფლება, დეპუტატის მიერ განსახილველ საკითხებზე მსჯელობის დროს რეგლამენტის დარღვევა და ამ დარღვევათა წინააღმდეგ მიმართული სანქციები.

როგორც ცნობილია, 1918-21 წლების საქართველოში ფუნქციონირებდა ჯერ ეროვნული საბჭო (1919 წლის 31 იანვრამდე), ხოლო შემდეგ დამფუძნებელი კრება (1919წლის მარტიდან 1921 წლის მარტამდე). ამ ორივე წარმომადგენლობით ორგანოს მიღებული ჰქონდა მუშაობის რეგლამენტი, რომლებშიც რასაკვირველია, ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებიც იყო შეტანილი.

აი, როგორ იყო გადაწყვეტილი დეპუტატთა სხდომებზე დასწრებიდან განთავისუფლების წესი:

„161. თუ დამფუძნებელი კრების წევრსა ჰსურს დროებით განთავისუფლება დამფუძნებელი კრების მუშაობიდან, წერილობითი განცხადება უნდა წარუდგინოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს, სადაც აღნიშნული იქნება, რა ვადით თხოულობს განთავისუფლებას.

შენიშვნა: თუ სხვადასხვა მიზეზის გამო წევრი იძულებულია უეცრად წავიდეს, მაშინ იგი ვალდებულია განცხადება გამოუგზავნოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს სამი დღის განმავლობაში.

166. სხდომაზე დაუსწრებლობის პატივსადებ მიზეზად ითვლება: 1) ავადმყოფობა დამფუძნებელი კრების წევრისა; 2) სიკვდილი ან მძიმე ავადმყოფობა მისი ოჯახის წევრისა; 3) სამუშაო, რომელიც— დამფუძნებელი კრების მოქმედებასთან არის დაკავშირებული, და 4) ისეთი პირადი საქმეები, რომელთა გადადება არ შეიძლება.

168. დამფუძნებელი კრების წევრს, რომელიც სხდომას დააკლდება არა პატივსადები მიზეზის გამო, უნდა გამოერიცხოს ყოველ გამოშვებულ სხდომისათვის ერთი მეოცდა-ათედი თვიური გასამრჯელოსი.

169. დამფუძნებელი კრების წევრი, რომელიც ორი თვის განმავლობაში სრულიად არ დაესწრო სხდომას და არც არავითარი განმარტება წარმოადგინა ამის გამო, დამფუძნებელი კრების წევრობიდან გამორიცხულად ჩაითვლება და მის ადგილს მორიგი კანდიდატი დაიჭერს".

რაც შეეხება მსჯელობის წესის დარღვევას და დამრღვევი დეპუტატების მიმართ ზომების მიღებას:

94. თავმჯდომარე სხდომას ხელმძღვანელობს. არავის შეუძლიან თავმჯდომარეს სიტყვა შეუბრუნოს მისი შენიშვნისა და განმარტების გამო. არავის შეუძლიან სიტყვის წარმოთქმა თავმჯდომარის ნებადაურთველად.

შენიშვნა: წერილობითი პროტესტები თავმჯდომარის მოქმედების გამო სხდომის ჟურნალში ჩაეკრება გამოუქვეყნებლივ.

110. თუ ორატორი თავმჯდომარეს არ ემორჩილება, შეურაცხმყოფელ, უხეშ ან საზოგადოდ დამფუძნებელი კრების ღირსების შეუფერებელ სიტყვებსა ხმარობს, თავმჯდომარეს შეუძლიან შემდეგი ზომები მიიღოს: მოუწოდოს წესიერებისადმი, მისცეს შენიშვნა, ჩამოართვას სიტყვა ან წინადადება მისცეს დამფუძნებელ კრებას, რომ ასეთი წევრი ერთის, ორის ან სამის სხდომიდან დაითხოვოს.

შენიშვნა: სიტყვა-ჩამორთმეულ ორატორს იმ საგანზე სიტყვა აღარ მიეცემა იმავე სხდომაზე.

111. თუ დამფუძნებელი კრების წევრი წესიერებას არღვევს, თავმჯდომარეს შეუძლიან: მოსთხოვოს დაიცვას წესიერება, მისცეს შენიშვნა, ან წინადადებით მიმართოს დამფუძნებელ კრებას, დაითხოვოს იგი სხდომიდან.

112. მე-116 და მე-111 მუხლში აღნიშნულ წინადადებებს კენჭი უნდა ეყაროს უკამათოდ. კენჭის ყრამდე წესიერების დამრღვევ წევრს შეუძლიან პირადად ან დამფუძნებელი კრების რომელიმე სხვა წევრის პირით კრებას თავისი განმარტება წარუდგინოს. ამნაირი განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ ერთხელ. ამ შემთხვევაში სიტყვისათვის ორატორს 10 წუთი ეძლევა.

113. თუ დარბაზში ხმაურობა ასტყდა, ან უწესობა დაიწყო და თავმჯდომარემ მისი შეჩერება ვერ მოახერხა, მაშინ იგი თავის ადგილს სტოვებს და სხდომა ნახევარი საათით შეწყვეტილად ჩაითვლება. თუ სხდომის განახლების შემდეგაც ხმაურობა და უწესობა გაგრძელდა, თავმჯდომარე სხდომას დახურულად აცხადებს".

გთავაზობთ მასალებს 1921 წლის 1 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელ კრებაში მომხდარ გახმაურებულ სკანდალის შესახებ, რომელიც ეხება დეპუტატთა შორის მომხდარ ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტს.

## ქურდული თავდასხმა ამხ. შალვა ნუცუბიძეზე.

თებერვლის პირველ რამოდენიმე კანონპროექტთა მიღების შემდეგ,დამფუძნებელი კრება გადავიდა მთავრობის პოლიტიკის შესახებ მსჯელობაზე. ილაპარაკა ჩაწერილმა ორატორმა ამხ. გ.რცხილაძემ. ჯერ კიდევ სიტყვა არ ჰქონდა გათავებული რცხილაძეს, რომ ამხ. სამსონ დადიანმა სთხოვა თავმჯდომარეს გადაეცვალა რიგი ამხ. შ.ნუცუბიძესი და თავისი. ასე რომ რცხილაძის შემდეგ უნდა ელაპარაკნა ამხ.ნუცუბიძეს და მერე ს.დადიანს.

ამ დროს სოც.-დემოკრატებმა შეიტანეს წინადადება კრების გადადებისა. კენჭის უყრელად კრება გადაიდო და მდივანმა წაიკითხა შემდეგი სხდომის წესრიგი.

დეპუტატები აიშალნენ და გამოვიდნენ მეორე დარბაზში, აქ ბ.ჩხიკვიშვილმა სთხოვა შ.ნუცუბიძეს ნიკო ელიავას და ს.დადიანს. გაიხმო იქვე: „თქვენთან მოსალაპარაკებელი მაქვსო". გაიმართა ასეთი ლაპარაკი: „კაცო, მე გუშინ წავიკითხე შენი სიტყვა,სადაც გითქვამს „ჩხიკვიშვილს თავი ფაჩულიასთან ჰგონია, სამოვრით რომ სვამდა ღვინოს. საბუთი გქონდა რამე?"

ნუცუბიძე: დიაღ, მე ვსთქვი ეს.

ჩხიკვიშვილი: აი მე ჩემი მხრით ვასახელებ სამსონს (ხელს ადებს დადიანს), შენი მხრითაც დაასახელე ვინც გინდა და ეს საქმე უნდა გამოვარკვიოთ.

ნუცუბიძე: როგორც გინდა, მაგრამ აქ რაა გამოსარკვევი? მე ეს მიპასუხე შენს რეპლიკაზე. მე როდესაც ვლაპარაკობდი შენ ადგილიდან „ლაზლანდარა" მიწოდე და მე ამაზე გიპასუხე.

ჩხიკვიშვილი: მაშ დაძვრენა გინდა ახლა თავის? უკან მიგაქვს სიტყვა?

ნუცუბიძე: დაძვრენა როგორ უნდა მოვინდომო, მე ეს გითხარი და თუ გინდა, ახლა კიდევ გავიმეორებ კრებაზე და დავასაბუთებ კიდეც.

ჩხიკვიშვილი: არა, შენ თავის დაძვრენა გინდაო და ამ სიტყვებით სრულიად მოულოდნელად პირდაპირ თვალში ჰკრა მუშტი, დაიხია უკან და ჯიბეზე გაიკრა ხელი.

ჩხიკვიშვილს მივარდნენ ნ.ელიავა და ს.დადიანი და გააკავეს. ნუცუბიძემ დაავლო სკამს ხელი, მაგრამ მას მივარდნენ სოციალ-დემოკრატები და სხვები და მოქნეული სკამი ჩხიკვიშვილს ასცდა. ნუცუბიძე ისევ გაუსხლტა ხელიდან გამზავებლებს, მაგრამ კვლავ დაიჭირეს.

ამასობაში მივარდა მუხ. ხოჭოლავა ჩხიკვიშვილს, მოჰკიდა ხელი სიტყვებით: „კაცო ხომ არ გაგიჟდიო".

ს.დადიანი კი გაშორდა ჩხიკვიშვილს და უთხრა: „ვინც ასეთს საქმეს იკადრებს,იგი ღირსი არაა დეპუტატობისაო". ამ სიტყვებზე ჩხიკვიშვილმა იღრიალა: „Застрелю мерзавца"—ო და ისევ მოინდომა რევოლვერის ამოღება. ამხ. დადიანი მივარდა ჩხიკვიშვილს, მაგრამ ესეც უმალვე გააკავეს. ჩხიკვიშვილი ყვიროდა „ვესვრი, ვესვრიო". ამხ. დადიანიც უყვიროდა „გაუშვით, გაუშვით ეგ ლაჩარი, გვესროლოსო", მაგრამ ჩხიკვიშვილი გაიყვანეს მეორე ოთახში და იქიდან გარეთ.

საშინლად აღელვებული ასეთი ლაჩრულ-მოღალატური თავდასხმით და ვერაგობით ამხ. ნუცუბიძე ძლივს დაამშვიდეს.

ამ საზიზღარ საქციელს ჩხიკვიშვილისას დაესწრნენ: სოც. დემოკრატები — ნ.ელიავა, მუხ. ხოჭოლავა,ვ.თევზაია, გ.ფაღავა, ა.გურული,რ.ყიფიანი: სოციალისტ-რევოლუციონერებიდან ივ.ლორთქფანიძე, ეროვ. დემოკრატ შ.ქარუმიძე, ვ.ვეშაპელი; სოც.ფედ. იოს.ბარათაშვილი და ს.დადიანი. იყვნენ მრავალი სხვა სოც.-დემოკრატი დეპუტატებიც, რამოდენიმე გვარდიელი, ქვესტორები და სხვ.

აქ აღსანიშნავია შემდეგი:

ამხ. შ.ნუცუბიძის სიტყვები, რომელიც შეეხებოდა ბ.ჩხიკვიშვილს და რომელიც პასუხი იყო ბ.ჩხიკვიშვილისავე რეპლიკაზე, ნათქვამი იყო ამ თვენახევრის წინად. მაშინვე,სხდომის გათავებისთანავე ბ.ჩხიკვიშვილს მოლაპარაკება ჰქონდა ამხ. შ.ნუცუბიძესთან, რომელმაც განუმარტა ჩხიკვიშვილს: თქვენი პირადი შეურაცხყოფა არ მინდოდა, მაგრამ ჩემი პასუხი გამოიწვია თქვენმავე რეპლიკამაო. ამით თითქოს გათავდა საქმე და ჩხიკვიშვილმა თავი დაკმაყოფილებულად იცნო, მაგრამ აქ მოხდა ერთი უცნაური რამ და ბ.ჩხიკვიშვილმა მხოლოდ თვე ნახევრის შემდეგ დაინახა თავისი შეურაცხყოფა და წინასწარ განზრახვით ხელით შეურაცხყოფა მიაყენა ამხ. შ.ნუცუბიძეს. ვამბობთ წინასწარ განზრახვით, რადგანაც იმ დინჯს და დამშვიდებულს ლაპარაკს,რომელიც ბ.ჩხიკვიშვილსა და ამხ. ნუცუბიძეს შორის მოხდა, სრულიად არ უნდა მოჰყოლოდა ასეთი სამწუხარო შედეგი, თუ ეს წინასწარ არ ყოფილიყო განზრახული და მოფიქრებული.

დასასრულ ისიც საგულისხმოა,რომ ბ.ჩხიკვიშვილმა წინასწარ მოფიქრებით ამხ. შ.ნუცუბიძის დამახინჯება მოინდომა და დინჯის საუბრის დროს მოულოდნელად თვალში ჩაარტყა მუშტი.

**გაზ. „სახალხო საქმე", №1043, 1921 წ. 3 თებერვალი.**

## გაამევეთ!

თებერვლის 1-ს დამფ. კრების შენობაში მეტად აღმაშფოთებელი ამბავი მოხდა, დეპუტატმა და ქალაქის მოურავმა ბ.ჩხიკვიშვილმა ყოვლად საზიზღარი თავდასხმა მოახდინა დეპუტატ შალვა ნუცუბიძეზე. დეპუტატმა მოქმედებით შეურაცხყო დეპუტატივე,ხალხის ნდობით აღჭურვილი ადამიანი.

ეს უდიდესი შეურაცხყოფაა სახალხო წარმომადგენლობის ორგანოსი, ეს წარმოუდგენელი შელახვაა ხალხის უზენაესი საკანონმდებლო დაწესებულებისა. დამფ. კრების წევრმა ბენია ჩხიკვიშვილმა მოიშველია მუშტების არგუმენტი და უხეში ტლანქი ძალის საშუალებით მოისურვა ოპოზიციის ერთი საუკეთესო წევრის , ჩვენი ღირსეული ამხანაგის შალვა ნუცუბიძის დადუმება — ამ საქციელით ბენია ჩხიკვიშვილმა დაამტკიცა, რომ იგი მოკლებულია უნარს აწარმოოს კულტურული პოლიტიკური ბრძოლა, რომ იგი შეპყრობილია ველური ინსტიქტებით, და ემარჯვება მხოლოდ ქურდული მიმპარავი მუშტის ჩარტყმა პოლიტიკურ მოწინააღმდეგისთვის. ზნეობრივი გათახსირება, სიმხდალე და უსუსურობა ამაზე შორს ვეღარ წავა.

მხეცმა დეპუტატმა მოისურვა შეურაცხყოფა მიეყენებინა სახელოვან პოლიტიკურ მებრძოლისათვის, მაგრამ მწარედ მოსტყუედა. თავისი უკულტურო საქციელით მან შეურაცხყო პარლამენტი და უპირველესად ყოვლისა საკუთარი პიროვნება, საკუთარი კაცურ-კაცობა.

ამხ. შალვა ნუცუბიძეს ამ ველური აქტით ვერ წაართმევთ ხალისს. უნარს კვლავაც თავისებური ენტუზიაზმით და თავდადებით განაგრძოს ბრძოლა პოლიტიკურ სარბიელზე. მხოლოდ მოძალადე დეპუტატს ჩვენ შევძახებთ: ფრთხილად! ნუ შესდგებით ამ მოლიპულ გზაზე — შესაძლოა წააგოთ და მწარედ ინანოთ.

ჩვენი მწუხარება უსაზღვროა, რომ ჩხიკვიშვილს, ამ უღირს ადამიანს უჭირავს პასუხსაგები პოსტები, რომ თანამედროვე ტარიელ მკლავაძე ატარებს ხალხის წარმომადგენლის სახელს, რომ ცხოვრების მწარე ირონიის წყალობით ჩვენი დედაქალაქის მოურავად არის ის პიროვნება, რომელსაც შეუთვისებია ქუჩის, მაწანწალის ბრძოლის მანერები და მეთოდები.

დროზედ განიდევნოს იგი ამ პოსტებიდან. ნუ შეურაცხყოფთ ამით ხალხს და სახელმწიფოს.

**გაზ. „სახალხო საქმე" №1043, 1921 წ. 3 თებერვალი.**

## აღმაშფოთებელი ველურობის გამო

ბუშინწინ და გუშინ ელვის სისწრაფით მოედო მთელს ტფილისს ის სამარცხვინო მხეცური მოქმედება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართველი ერის უზენაესი ორგანოს — დამფუძნებელი კრების ერთ-ერთ დარბაზში. ბ.ჩხიკვიშვილმა ველური, ბარბაროსული საქციელი ჩაიდინა ჩვენი ძვირფასი ამხანაგის შალვა ნუცუბიძის მიმართ და ამან აღშფოთება გამოიწვია არა მარტო პარტიულ ამხანაგებში და მის იდეურ-პოლიტიკურ თანამებრძოლებში, არამედ ყოველ შეგნებულ ქართველში. შალვა ნუცუბიძე, რომელიც ქართველი ერის შეგნებულმა ნაწილმა წარგზავნა თავისი თვითშეგნების და ღირსების გამომხატველ უზენაეს ორგანოში, ღირსეულად ასრულებდა თავის უწმინდეს მოვალეობას ხალხისადმი სამსახურისა და მძაფრად, მოურიდებლად და შეუპოვრად ამხილებდა ყველა იმ სიმახინჯეს, რომელსაც სამწუხაროდ ადგილი აქვს თავისუფალ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. და აი, ველურმა ადამიანმა მის მკვეთრ სიტყვის, მისი შეუპოვარი მხილებისათვის ველური საშუალებით მოიწადინა პასუხის გაცემა, მოიშველია მუშტი, ფიზიკური შეურაცხყოფით, თვალის ამოთხრით მოინდომა მისი მძლავრი არგუმენტების დარღვევა და მძლავრი კრიტიკის განიავება.

ჩვენ გვინდა ვირწმუნოთ,რომ იმდენად არ დაეცემა ჩვენი უზენაესი ორგანოს მიერ შეგნება თავისი მაღალი პრესტიჟისა და ღირსებისა, რომ ასეთ ველურ საქციელს სათანადო მსჯავრი არ დაადოს.

ეს მსჯავრი უკვე დასდო ქართველი ერის შეგნებულმა ნაწილმა — ქართველმა ახალგაზრდობამ, სტუდენტობამ. ქართველი ერის მომავალ თაობას— სტუდენტობას უყვარს თავისი ძვირფასი პროფესორი არა მარტო იმისთვის, რომ ის არის საუკეთესო მასწავლებელი და მეცნიერი, არამედ იმისათვისაც,რომ ის არის მედგარი, შეუპოვარი მებრძოლი ქართველი ერის და მისი მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის. და აი, როცა სტუდენტობამ გაიგო ეს სამარცხვინო ამბავი მისი ფიზიკური შეურაცხყოფისა, არ შეიძლებოდა, რომ მას ღირსეულად არ შეეფასებინა ყოვლად უკულტურო, ველური მოქმედება და მხურვალე, გულითადი თანაგრძნობა არ გამოეცხადებინა ძვირფასი პროფესორის და პოლიტიკური მებრძოლის შალვა ნუცუბიძისათვის.

ქართველმა სტუდენტობამ მოისურვა, რომ ეს მისი ღრმა აღშფოთების და უსასტიკეს პროტესტის ხმა გაეგონა მთელს ერს და ამიტომ ფართო, გრანდიოზული მანიფესტაცია მოეწყო.

თებერვლის 2 ღირსშესანიშნავ და დიად დღედ დარჩება არა მარტო საზოგადოდ ქართველი ახალგაზრდობის, არამედ მთელი ერის ისტო-

გაგრძელება მე-6 გვ.

მეხუთე გვერდიდან

რიაში ეს დღე უაღრესი მნიშვნელობისა არის იმ მხრივ, რომ ამ დღეს მოახდინა ქართველი ერის შეგნებულმა ნაწილმა დემონსტრაცია თავისი თვითშეგნების და ღირსებისა.

ქართველმა სტუდენტობამ ამცნო მძლავრის ყიჟინით მთელს ერს, რომ იგი არის ქართველი ერის უფაქიზესი გრძნობების და სიწმინდის გამომხატველი.

როდესაც დედა-ქალაქის უმთავრეს ქუჩებში მოზღვავებული ახალგაზრდობა კრულვას უძღვნიდა ჩხიკვიშვილს და იძახდა: „ძირს ველურობა, ძირს უხეში ძალა! გაუმარჯოს პროფ. ნუცუბიძეს!" ამით იგი ამცნობდა მთელს საქართველოს რომ იგი ღირსეულად იცავს და ყოველთვის დაიცავს არა მარტო თავის ძვირფას პროფესორს, არამედ ქართველი ერის მშრომელი ხალხისათვის მედგარ მებრძოლს ყოველგვარ უხეშ და ველურ ძალადობისაგან და შეურაცხყოფისაგან.

ძვირფასო შალვა! ქართველი სტუდენტობა რომელიც დიდ პატივს გცემს არა მარტო იმიტომ,რომ საუკეთესო პროფესორი მეცნიერი ხართ, არამედ იმიტომაც, რომ თავ-დადებული, შეუპოვარი პოლიტიკური მებრძოლი და ხალხის დიდი ტრიბუნი ხართ.

მხნედ განაგრძეთ მუშაობა არა მარტო მეცნიერების სფეროში, არამედ ბრძოლაც პოლიტიკურ ასპარეზზე და გწამდეთ, რომ ქართველი ერის შეგნებული ნაწილი — ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა თქვენთან იქნება, როგორც თქვენი თანამებრძოლი.

გ.კიკნაძე

**გაზ. „სახალხო საქმე", №1044, 1921 წ. 4 თებერვალი**

## პარლამენტარული სკანდალი

დამფუძნებელი კრების კულუარებში დეპუტატ ბ. ბ. ჩხიკვიშვილსა და ნუცუბიძის შორის მომხდარმა სკანდალმა დიდი აურ-ზაური გამოიწვია დამფუძნებელს კრებაში. ინციდენტის გამოძახილი გადავიდა პრესასა და საზოგადოებაშიც. სამწუხაროდ, როგორც თვით ინციდენტი იყო უჩვეულო, ისევე გამოძახილიც არ იყო მიზანშეწონილი და ინციდენტის ღირსეული ლიკვიდაციის მიზნებით გამოწვეული.

დამფუძნებელი კრების შენობაში ადგილი ჰქონდა კრივს ორ დეპუტატს შორის. ეს რომ პარლამენტის გარეშე მომხდარიყო, რასაკვირველია, მას მხოლოდ პირადი შეურაცხყოფის ხასიათი მიეცემოდა და ამის გამო დამფუძნებელი კრების ამა თუ იმ ფრაქციას აღარ დარჩებოდა საბაბი ინციდენტის პარლამენტში გამოტანისათვის. მაგრამ სკანდალს ადგილი ჰქონდა თვით დამფუძნებელი კრების შენობაში და ამიტომაც აშკარაა თვით დამფუძნებელ კრებას უნდა გამოეძებნა ინციდენტის ავტორის პასუხისგების ფორმა. სამწუხაროდ, ამ ობიექტური საზომით არ იხელმძღვანელეს დამფუძნებელ კრების სოციალისტურმა ფრაქციებმა. სოციალისტ-ფედერალისტებმა ამ ინციდენტის ლიკვიდაციისთვის დეპუტატ ჩხიკვიშვილის გაძევება მოითხოვეს დამფუძნებელი კრებიდან. ასეთი მოთხოვნილება, რასაკვირველია, მიუღებელია ყოველმხრივად. ასეთი დანაშაულისთვის ხალხის წარმომადგენლისთვის დეპუტატის უფლებების აყრა არ შეიძლება. დეპუტატისათვის მანდატის ახდა უნდა შეიძლებოდეს მხოლოდ კანონში მტკიცედ განსაზღვრულ შემთხვევებში, მძიმე ბოროტმოქმედების გამო ს.ფედერალისტთა წინადადება მხოლოდ იმით უნდა იყოს გამოწვეული,რომ ეს ფრაქცია თავის წევრის შეურაცხყოფით ისე იყო აღელვებული, რომ გრძნობები ვერ გაზომა და მომხდარი ინციდენტი გონივრულად ვერ შეაფასა: თორემ ასეთს შემთხვევაში დეპუტატების გაძევება რომ დაკანონდეს, მმართველ ფრაქციას, თუ მოისურვებენ მთელი ოპოზიციის პარლამენტიდან გაძევებაც არ გაუძნელდება. გასაგები აღელვება სოც-ფედერალისტთა ფრაქციამ თავის კალაპოტში ვერ ჩატია, რის გამოც მან, ჩვენის აზრით, სხვა შეცდომებიც დაუშვა, ყოვლად შეუწყნარებელია ასეთი ინციდენტებისათვის თუნდაც სტუდენტების დემონსტრაციების მოწყობა, ისიც დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ. დამფუძნებელი კრების წინ დასაშვებია მხოლოდ პატრიოტული მანიფესტაციები და არადემონსტრაციები დამფუძნებელი. კრების და მის წევრთა მოქმედების დასაფასებლად, ისეთი დემონსტრაციების, რომელთა მიზანია ერთგვარი ზეგავლენის და ძალდატანების მოხდენა. რას დაემსგავსება რომ ხვალ, არც თუ პოლიტიკური საქმის გამო, სხვა ფრაქციებმა მუშათა და მოქალაქეთა დემონსტრაციები გამართონ დამფ. კრების წინ, დამფ. კრების დასაფასებლად ასეთი დემონსტრაციები პარლამენტის წინაშე საზოგადოთ დაუშვებელია. კანონმდებელნი მუდამ დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ თავიანთ მოქმედებაში და სრულიად თავისუფალნი შემთხვევით შეკრებილ საზოგადოების ზეგავლენისაგან. კიდევ უფრო შეუწყნარებელი იყო ასეთი დემონსტრაციები მას შემდგომ, რაც ფედერალისტების ფრაქციამ თავის წევრის შეურაცხყოფა დამფუძნებელ კრებაში გაასაჩივრა. ფრაქციას იმდენი პატივისცემა მაინც უნდა გამოეჩინა კრებულისადმი,სადაც ის სამართალს ეძებდა, რომ დაეცადა მისი განაჩენისთვის. მღელვარებით ატანილმა ს.ფედერალისტებმა, ამ სამწუხარო ინციდენტის გარშემო გადაჭარბებული განგაში გამართეს. ამ გარემოებამ გამოასწორა მმართველი ფრაქციის ფრიად უხერხული მდგომარეობა და მას გაუადვილა ჩვეულებრივი უტიფრობის და უხეშობის დემონსტრაცია და თავის თავისი გამართლება იმ შემთხვევაშიც. როდესაც ეს შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, რომ ფედერალისტებს ტაქტი არ დაეკარგათ! სოც. ფედერალისტებს სხვა სოციალისტური ფრაქციებიც არ ჩამორჩნენ. ს. რევოლუციონერებმა, ეს კრივი უდიდეს პოლიტიკურ დოღათ დასახეს. საზოგადოთ, ოპოზიციის სოციალისტობას, ამ შემთხვევაში, უფრო ოპოზიციონერობა ემჩნეოდათ, ვიდრე სურვილი ამ მომხდარი სკანდალის შესაფერი ლიკვიდაციისა.

ხოლო მმართველმა ფრაქციამ შექმნილი წუმპედან სრულიად მშრალად ამოსვლა მოინდომა — ასეთი რამ სხვაგანაც ხდება. რა მოხდა ასეთიო?", ასე იღაღადა ფრაქციის სახელით ბ-ნმა გვარჯალაძემ.

ასეთ ცინიზმამდე ვიდოდა მხოლოდ ისეთი ფრაქცია, და ისეთი ადამიანი, რომელიც უხეშ ძალას და კრივს უზენაესი მსაჯულის როლს ანიჭებს. უმრავლესობის ფრაქციამ თავისი რეზოლუციით დაამტკიცა, რომ იგი მართლაც და ძალმომრეობას ეთაყვანება, რომ მას აკლია ზნეობრივი სიმტკიცე დაჰგმოს თავისი წევრის ყოვლად უღირსი საქციელი! ჩვენ არ გვიკვირს,რომ მმართველმა ფრაქციამ გახრწნილების ამ წერტილს მიაღწია ამ სამი წლის უკონტროლო ბატონობის დასასრულში.

ჩვენი ფრაქცია შეეცადა ამ უკიდურესობათა შორის ისეთი ზომა გამოეძებნა, რომელიც ინციდენტს სათანადო ფარგლებში მოამწყვდევდა, დასაგმობს დაგმობდა და დამფუძ. კრებასაც პატივით გამოიყვანდა იმ ყალბ და არა შესაფერ მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი ჩააყენეს ოპოზიციის სოციალისტებმა და მმართველმა ფრაქციამ.

ამ მიზნით ჩვენმა ფრაქციამ წინადადება შეიტანა — არჩეულიყო სპეციალური კომისია,რომელიც ამ ინციდენტს ყოველ მხრივ გამოარკვევდა და სასჯელის ფორმის შესახებაც თავის დასკვნას წარმოადგენდა დამფუძნებელ კრებაში. ეს იყო საუკეთესო გამოსავალი ყველა იმისთვის, ვისაც ამ სკანდალის საზოგადოებრივი მხარე აინტერესებდა და არა სკანდალი, როგორც საბაბი პოლიტიკური და ფრაქციული ბრძოლისა.

ჩვენი წინადადება სოციალისტურმა ფრაქციებმა არ მიიღეს, სამთავროთ თავიანთი [illegible] დამფუძ. კრების დონე ჩამოაქვეითეს: მენშევიკებმა მუშტი—კრივს დაცვა დაუწყეს, ესერ-ფედერალისტებმა კიდევ დამფ. კრება ერთიანად ფრაქციული შურისძიების მოედნათ გადააქციეს.

**გაზ. საქართველო 1921 წ. №27, 5 თებერვალი**

ამ ფაქტის დამფუძნებელ კრების სხდომაზე განხილვის მიზნით 1921 წლის 4 თებერვალს სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციამ პრეზიდიუმში განცხადება შეიტანა, რამაც მეტად ცხარე კამათი გამოიწვია. წამოყენებულ იქნა რამდენიმე წინადადება:

ფედერალისტების აზრით, ინციდენტი აუცილებლად უნდა განხილულიყო დამფუძნებელი კრების სხდომაზე და ბენია ჩხიკვიშვილი უნდა გაძევებულიყო.

დემოკრატთა ფრაქციამ განაცხადა, რომ არჩეულიყო სპეციალური კომისია, რომელიც გამოიტანდა დასკვნას, ანდა საქმეს მისცემოდა მსვლელობა სასამართლოს წესით.

სოციალ-დემოკრატთა ფრაქციამ კი მოითხოვა, რათა ეს საკითხი საერთოდ არ განხილულიყო დამფუძნებელ კრებაში და ინცდენტი ჩათვლილიყო ამოწურულად.

კენჭისყრის დროს გავიდა სოციალ-დემოკრატების წინადადება, რადგან ისინი უმრავლესობას შეადგენდნენ. პროტესტის ნიშნად ფედერალისტებმა განაცხადეს, რომ ისინი არ დაესწრებოდნენ დამფუძნებელი კრების სამ სხდომას.

ერთი კვირის შემდეგ კი ცნობილი მიზეზების გამო ამ საქმისათვის აღარავის ეცალა...

ხომ არაფერი გეცნოთ დღევანდელ სკანდალს, მის შეფასებასა და იმჟამინდელს შორის ძვირფასო მკითხველო?...

**სიმონ კილაძე**

## ერთი პოლიტიკური პაექრობის გამო

# აფხაზეთის წართმევა რუსეთს ყოველთვის სურდა

**„ყველაფერი შეიძლება წაართვან პიროვნებას და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგნებას ვერავინ წაართმევს მას".**

**კ. გამსახურდია**

**1921 წლის 8** მაისის გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტში" გამოქვეყნდა კ. გამსახურდიას „ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი"[1] დასახელებული წერილის მიზნის გარკვევაში გვეხმარება ავტორისავე სიტყვები: „ჩემში ლაპარაკობს ქართველი მწერალი, ჩემში ლაპარაკობენ ტკივილები ქართველი ხალხის". ეს წერილი რუსულად გადაითარგმნა და დაიბეჭდა „გრუკავროსტის" ბიულეტენში.

ლენინისადმი მიმართულ წერილში, სხვა მტკივნეულ საკითხებთან ერთად, მწერალი აღნიშნავდა: „დღეს სულ ორიოდე თვეც არ გასულა და წითელმა რუსეთმა მოსპო ჩვენში ისეთი მთავარი ატრიბუტი სახელმწიფოებრიობისა, როგორიცაა საზღვრები, რკინიგზა და ვინ არ იცის, რომ ქართული ენა საქართველოში პრაქტიკულად სახელმწიფო ენა აღარ არის"...

კ. გამსახურდიას წერილს მაშინვე გამოეხმაურა დღემდე უცნობი პირი, რომელმაც 13 მაისის გაზეთ „პრავდა გრუზიი"-ში ს.პ.-ს ინიციალებით გამოაქვეყნა გესლით შეზავებული დემაგოგიური სტატია — „ავადმყოფი კაცის ავადმყოფური სიტყვები" („ბოლნიე რეჩი ბოლნოგო ჩელოვეკა"), რომელშიც ნათქვამია: „და თუ გამსახურდია ამბობს, რომ ახლა რუსეთის მიერ მოსპობილია ქართული სახელმწიფოებრიობის ორი მთავარი ატრიბუტი, რკინიგზები და საზღვრები. მაშინ ეს არის შედეგი უბრალოდ რევოლუციური პროცესის გაუგებრობისა, შედეგი არასაკმარისი წარმოდგენისა იმაზე, რა არის საბჭოთა კავშირი". მოკამათე უტიფრად განაგრძობს: „ან შეიძლება გამსახურდია უკმაყოფილოა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს მკაფიოდ მოხაზული საზღვრები აფხაზეთთან ან აჭარასთან, ან რომ საერთოდ ეს ხალხები ამჟამად ცხოვრობენ დამოუკიდებლად? ასე, მას შეუძლია დაწყნარდეს — თვითგამორკვეულ აფხაზეთთან ჩვენ საზღვრები მალე გვექნება, აჭარასთან — ალბათ, აგრეთვე. მაგრამ ეს საზღვრები, რა თქმა უნდა, სულ ცოტაზეც არ გაივლიან იმ ბურჟუაზიულ ტიხარებზე, რომლებზეც ოცნებობს გამსახურდია".

ბატონმა კონსტანტინემ სათანადო პასუხი გასცა ავყია ოპონენტს.[2]

იგი წერდა: „რაც შეეხება საქართველოს საზღვრებს დამოუკიდებელ აფხაზეთთან და, ასე წარმოიდგინეთ, დამოუკიდებელ აჭარასთან, რომელსაც გვპირდება კიდეც ს.პ., ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ამ საზღვრების გავლას ბევრს ეცადნენ ნიკოლოზ პირველის რუსიფიკატორები, ხან ანბანები მოუგონეს აფხაზებს, ხან ჩერნომორის გუბერნიებს მიაწერეს სოხუმის ოლქი, მაგრამ აფხაზები 2 ათას წელზე მეტს ეწეოდნენ ჩვენთან საერთო ისტორიულ ჰაპანს და არ ჩამოგვცილებიან და ვერც ჩამოგვცილდებიან, თუმცა საგანს რომ არსებითად შევეხოთ, აფხაზეთში დიდი უმრავლესობა ქართველობაა და მე მიკვირს, რომ თქვენ ასე ერთის დაკვრით გინდათ ამ ქართველების ბედი გადასწყვიტოთ. რაც შეეხება აჭარას, ვერც აქ გაავლებს ვინმე საზღვრებს. ეს ინგლისელ იმპერიალისტებმაც სცადეს, ეს სცადეს ოსმალებმაც. მაგრამ დეე იცოდეს ყველამ, რომ ჩვენ მუდამ გადავალაჯებთ ისეთ ხელოვნურ საზღვრებს, რომლის გადაღმა ჩვენი სისხლისა და ხორცის თანაზიარნი გვეგულებიან".

მოპაექრის წერილში გამოთქმულ ცილისწამებაზე — „გამსახურდიას მსგავს შოვინისტებს, ალბათ, ნაციონალური „რეზნია" მოსწყურდაო" — მწერალმა უპასუხა: „უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ, ქართველებს, ამ სიტყვის ექვივალენტიც კი არ მოგვეპოვება, ჩვენ შემარიგებელ ფარად ჩავუდექით 1905 წელს სომხებსა და თათრებს შუაში, როცა ვორონცოვ-დაშკოვები ამგვარ „რეზნიას" აწყობდნენ და სახაზინო თოფებს ურიგებდნენ სომხებს და თათრებსო".

როგორ ესადაგება მოყვანილი სიტყვები დღევანდელობას!

ბატონი კონსტანტინე მოკამათეს იქვე მიანიშნებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მწერლის დანიშნულების შესახებ. „პირადად მე მგონია, — წერდა იგი, რომ მწერალი არც ერთი მთავრობის, არც ერთი პოლიტიკური პარტიის „მოჯამაგირე" არ უნდა იყოს, რადგანაც მწერალი მხოლოდ თავისუფალი სულის და სიტყვის „მოჯამაგირე" ყოფილა მუდამ. იგი აწმყოში და მომავალშიც ასე უნდა დარჩეს, რადგანაც **მისი ხელის საქმე ერისა და კულტურის სამსახური და არა რომელიმე პარტიისა (ხაზგასმა ავტორისაა. — გ.მ.)**, ან რომელიმე მთავრობის. იცვლებიან და ქრებიან პარტიები და მთავრობები, ხოლო ერი უკვდავია, ვითარცა მარადიულ ღირებულებათა შემქმნელი და მატარებელი სუბსტანცი".

ნიღაბს ამოფარებულმა მოკამათემ „პრავდა გრუზიის" 25 მაისის ნომერში მეორეჯერ დაბეჭდა ბოღმანარევი პამფლეტი „ვოხუნჯობთ, ძამია, ვოხუნჯობთ" („შუტიმ, ბრატეც, შუტიმ"). მართალია, წერილი ძირითადად მიმართულია თედო ღლონტის სტატიის წინააღმდეგ, მაგრამ წერილის ბოლოს, მინაწერში („პოსტსკრიპტუმში") ავტორი საგანგებოდ ჩერდება კ. გამსახურდიაზე.

კამათში ჩაება ბათუმში გამომავალი გაზეთის „ბატუმსკაია იზვესტიას" პასუხისმგებელი რედაქტორი ს. რუდაკოვი. მან თავის გაზეთში მწერლის წინააღმდეგ მოათავსა პასკვილი სათაურით „შოვინიზმის ველური ღაღადისი" („დიკი ვოპლ შოვინიზმა"). აღნიშნულ წერილს ბატონმა კონსტანტინემ გამანადგურებელი პასუხი გასცა 28 მაისის გაზეთში დაბეჭდილ სტატიაში „ვინ არის შოვინისტი"[3]. იგი წერდა: „როცა ადამიანს ნათელი აზრები გამოელევა, იგი გინებას მოჰყვება და გინება სხვა რაღაა, თუ არადა უსუსურობის, ინტელექტუალური უძლურობის ნიშანი...

ერთ დროს დოსტოევსკიმ აღნიშნა, რომ არც ერთ ენაზე ისე მხატვრულად გინება არ შეიძლება, როგორც რუსულადო, მაგრამ როცა საქართველოში კომუნიზმის იდეების საქადაგებლად ჩამოსული რუსები ჩვენს აზრებს და ლოგიკას „მხატვრულ გინებას" უპირდაპირებენ, ეს ჩემთვის სრულიად გაუგებარია. ყველაფერი ეს ჩემში ბრაზს კი არ იწვევს, არამედ სიბრალულს".

წერილი შემდეგი შეგონებით მთავრდება: „თქვენ ლაპარაკობთ ჩემს ვაჟკაცობაზე? როცა ორ კაცს შორის ვაჟკაცობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, აქ იგულისხმება რომ — ორივენი ერთნაირი იარაღით უნდა იქნან აღჭურვილი. ჩემი წინაპრები იარაღით ებრძოდნენ ბარბაროსობას, განგებამ ინება, რომ ჩემი იარაღი კალამი იყოს. თუ ისეთი ბნელი დრო დაგვიდგება, რომ კალამსა და გონებას გასავალი აღარ ექნება, შეიძლება სხვა იარაღის ხმარებაშიაც არ ჩამოვრჩე თქვენისთანებს".

ასეთია მოკლედ ისტორია იმ პოლიტიკური პაექრობისა, რომელიც 20-იან წლებში გაიმართა რუსეთიდან წარმოგზავნილ ჟურნალისტ ს. რუდაკოვსა და კონსტანტინე გამსახურდიას შორის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ს.პ. და ს.რუდაკოვი ერთი და იგივე პირია, მის შესახებ სხვა დროს გვექნება საუბარი.

**პროფ.**
**ბივი მიქაძე**

[1] სათანადო შენიშვნებით მეორედ გამოაქვეყნა ვას. კიკნაძემ 1989 წ. 26 მაისის გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში".

[2] კ. გამსახურდია, პასუხი. — სოციალისტ-ფედერალისტი, 1921, 15 მაისი; მეორედ გამოქვეყნდა გაზ. „სახალხო განათლებაში", 1989, 7 ივნისი.

[3] აღნიშნული [illegible] მეორეჯერ გამოქვეყნდა [illegible] წლის [illegible]ნისს გაზ. „სახალხო განათლებაში".

# ყვითელი ბარათები

## ციკლიდან—სახელდახელო ჩანაწერები

ნოდარ გრიგალაშვილი

"ვისაც ძალიან უყვარს სიკეთე,
მას ძალიან სძულს ბოროტება"
ილია ჭავჭავაძე

მოგეხსენებათ, ყვითელ ბარათს არბიტრი უწესო მოთამაშის მიმართ გაფრთხილების მიზნით ხმარობს, თუ უწესომ უწესობა არ მოიშალა, მსაჯს რეზერვში აქვს წითელი ბარათიც, რითაც თავლაფდასხმულ ადრესატს არენიდან გააძევებს ხოლმე... ვერ დავუკარგავ, ჩვენს პოლიტიკურ ავანსცენაზე, პარლამენტში, ამ ხერხის გამოყენება პირველად, ცხადია, ხუმრობით, პარლამენტის სპიკერმა, ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ სცადა. დავესესხები ჩემს ყოფილ მასწავლებელს და დღევანდელ ნომერში შემოგთავაზებთ ახალ რუბრიკას —„ყვითელი ბარათები". რა თქმა უნდა, არა მაქვს იმის იმედი,რომ კრიტიკის ობიექტები მომავალში წითელი ბარათების დასაწერადაც არ განგაწყობენ...

ის წითელი ბარათები კი თავის მისიას რომ შეასრულებს,მომავალი არჩევნები დაგვარწმუნებს.

მკითხველებს,რომელნიც ჩემს ჩანაფიქრს მოიწონებენ, ვთხოვდი, წითელი ბარათების დასაწერად მომაწოდონ მათთვის ცნობილი, შემოწმებული და მართალი ინფორმაციები. ამით ჩვენ დიდ საქმეს გავაკეთებთ, მაღალი პოსტებისაკენ დაუინებით მიმსწრაფ საეჭვო „მოღვაწეთ " გზას გადავუკეტავთ, ისე, როგორც ამას ახერხებს პრესა ცივილიზებულ ქვეყნებში.

### რჩეულიშვილი შემომეკრიტიკა

ვახტანგ გოგუაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ-ერთი საუკეთესო პედაგოგი იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრი ასეთია. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს აღმზრდელობით მუშაობაზე მას სრულიად აუღია ხელი, რაშიც მარწმუნებს მისი მოადგილის ვახტანგ რჩეულიშვილის ჩამორჩენა დისციპლინის საკითხებში.

საკმარისია რჩეულიშვილი 2—3 საათით მოთავსდეს სპიკერის სკამზე და ნამდვილ სპიკერს შუბლზე ოფლგადამდინარეს უხდება აუდიტორიის დამშვიდება, მოადგილის ნაცვლად ბოდიშების მოხდა.

არა, ამჯერად ნათაძე — რჩეულიშვილის გახმაურებული ინციდენტი არ მაქვს მხედველობაში,რადგან იმ დღეს, კაცმა რომ თქვას, არც ბატონი ნოდარი მოქცეულა კეთილშობილთა გიმნაზიაში აღზრდილივით...

საუბარია პარასკევის რიგგარეშე სხდომაზე.

დიახ, რიგგარეშე ანუ საგანგებო სხდომა იყო, საგანგებო იმით,რომ ქართველი ერის შემდგომი ცხოვრების ბედი წყდებოდა.იხილებოდა საკითხი მოეწერა თუ არა მოსკოვში ხელი ჩვენს დელეგაციას აფხაზებთან შეთანხმებაზე, ანუ განლაგდებოდა თუ არა ჯარი ენგურზე.

იურიდიულადაც ვჩუქნიდით თუ არა მტერს დროებით, მაგრამ ფაქტობრივად დაკარგულ აფხაზეთს? ირღვეოდა თუ არა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა? და ა.შ. და ა.შ.

როგორც ხედავთ, საუბარი იყო ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხზე. ბ[illegible]ნებრივია, ნერვები იყო უკიდურესად დაძაბული და დეპუტატები ორივე მხარისა — ხელშეკრულების მომხრენი და მოწინააღმდეგენი — მძაფრი დებატებით თითქმის ისტერიამდე მისულნი.

ამ დროს იღება[illegible]კარი და პრეზიდიუმში, დიდგორის ომიდან დაბრუნებული მახარობელივით, შემოდის ცხვირპირ-თვალ-ყურგაღიმებული, წარმოსადეგი რჩეულიშვილი.

მცირე ხნის შემდეგ მან სიტყვა აიღო. ვგონებ ისევ გაღიმებულმა...

დეპუტატებმა, მისი ჰაბიტუსის შემხედვარეთ, ეტყობა, იფიქრეს,რაღაც კაი და მნიშვნელოვანი აქვს სათქმელიო და იმ რია-რიაში უცებ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

ისე აუხდეს ჩვენს მტერს ყველაფერი, როგორც იმ დღეს სპიკერის მოადგილემ მოლოდინი გაგვიმართლა...

სხდომის წამყვანი, მისი კოლეგა, ქალბატონი რუსუდან ბერიძე შესაშური ოსტატობით რომ უძღვებოდა დილიდანვე აბობოქრებულ აუდიტორიას, იძულებული გახდა წამოვარდნილიყო და დამთავრებულია სხდომაო, ერთი ამონაკ ვნესით დარბაზი მიეტოვებინა.

პარლამენტარები კი ქოქოლითა და ლანძღვა გინებით დაშვებულიყვნენ დაბლა...

რა თქვა მაინც ამ შეჩვენებულმა ამისთანა?

რა და, დღის წესრიგიდან გადახვევა რომ არ დაბრალებოდა,შესავალში ორიოდე სიტყვით გამოხატა დაახლოებით [illegible]გვარი აზრი — ომს მშვიდობა სჯობიაო [illegible] უეცრად, არც აცია, არც აცხელა, [illegible]დგა ბატონ ნოდარ ნათაძეს...

ბატონო ნოდარ, თქვენ რომ არ იცით, თქვენ რომ არ გსმენიათ და არ გაგიგიათ ისე, ვიღაცეებს თქვენი სახელით კრედიტები გამოაქვთ, ასე ამბობენო...

უდროო დროს მეჯღანუაშვილისაგან ოპერაში დაკრული ტაში არ იქნებოდა ისე მოულოდნელი,როგორც იმ სესიაზე სამშობლოს ბედით აღელვებული დეპუტატებისთვის რჩეულიშვილისმიერი პირადი ანგარიშ სწორება.

ასე ჩაიშალა ის სხდომა.

საინტერესო ის არის, რომ თავად გაოგნებული იდგა და ვერ ხვდებოდა რა თქვა ასეთი...

საერთოდ, ცუდი გულის კაცი არ ჩანს ბატონი ვახტანგი.

ჭკუისა კი რა მოგახსენოთ.

კაცს რომ კაცის დამუნათება უნდა და მოწინააღმდეგეს ერთბაშად 100 ქულას შესძენს, რა ჰქვია ასეთ ჭკუას?

არადა, ასე მოხდა.

იმ დღეს რჩეულიშვილმა პარლამენტის საქმე წაახდინა,თორემ მისთვის „საყვარელ" ნათაძეს ძმური სამსახური გაუწია.

თუ ნოდარ ნათაძემ არაფერი იცის, არავისთვის დაურეკავს, არავისთვის უთხოვია და მისი სახელის მარტოოდენ ხსენებითაც კი ბანკირები მზად არიან ვიღაცას კრედიტი მისცენ, როგორი ნდობა და ავტორიტეტი ჰქონია ბატონ ნოდარს?

ესეც არ იყოს, ამბობენ — ამ „არგუმენტით" შეიძლება ამხელა თანამდებობის კაცმა მთელი საქართველოს გასაგონად იუბნოს?!...

რაკი მისთვის შეიძლება, მეც მივცემ თავს უფლებას და „ამბობენთან" დაკავშირებით ერთ „ამბავს" მოგითხრობთ —

სესიიდან გამოსულმა ვიფიქრე,რაკი ნათაძის სახელით ვიღაცეებს ფულებს ურიგებენ, რჩეულიშვილი უფრო დიდი პოსტის კაცია, მე მისი სახელით დავრეკავ სადმე და გავკეთდები მუხრან ბატონივით-მეთქი.

ავიღე ყურმილი და ნაცნობ ბანკირს დავურეკე — ვახტანგ რჩეულიშვილის სახელით გელაპარაკები ფული მომეცი-თქვა.

მორფისთვის უნდაო? —მკითხა.

—?—

გაოგნებული შევეპასუხე, რავა ბატონი ვახტანგი მორფინისტია?!

— რა ვიცი, ასე ამბობენო!..

რასაკვირველია,რჩეულიშვილის მორფინისტობას მე ვერ დავიჯერებ.

დარწმუნებულიც რომ ვიყო, საჯაროდ მაინც არ ვიტყვი, რადგან ვერაფერსაც ვერ დავუმტკიცებ და საცინოდ გავიხდი თავს.

აბა, როგორ უნდა დავუმტკიცო. სახელმწიფოს მეთაურმა კი თქვა, ამ მხრივ თანამდებობის პირები უნდა შემოწმდნენო, მაგრამ რჩეულიშვილს შემოწმებას ვერავინ აკადრებს.

მისი ზემდგომი საქართველოში მხოლოდ ორი კაცია. ბატონი ვახტანგ გოგუაძე და ბატონი ედუარდ შევარდნაძე, მათ კი ისე იციან მორფისა და მისი გაკეთების საქმე, აქედან გამომდინარე კი შემოწმება, როგორც ნოდარ ნათაძემ ფულების მოპარვა.

მკითხველი მიხვდება, ყოველნაირად ვცდილობ ისე ვწერო, ი[illegible] ბეწვის ხიდზე, რომ ბატონ[illegible] რჩეულიშვილს ჩემი სამართალში მიცემის საფუძველი არ მივცე, თორემ, იქ, იგი, როგორც იურისტის ოჯახში გაზრდილი კაცი, უცილობლად დამჯაბნის...

აქ შეიძლებოდა დამესვა წერტილი, მაგრამ ოპონენტისაგან შესაძლებელია ერთი ბრალდება, რომელიც წინასწარ თუ არ გავაბათილე, მთლად დაზღვეულად ვერ ვიგრძნობ თავს.

შეიძლება მან ქუჩიდან მოტანილი ამბების გამეორებისა და ტირაჟირებისათვის მიჩივლოს.

ამასთან დაკავშირებით ერთ პატარა ისტორიას გიამბობთ. 1918—1921 წლების საქართველოში ყოფილა ერთი მექრთამე და ღვთისპირიდან გადავარდნილი კაცი, ვინმე კაჩუხოვი, რომელსაც დიდი თანამდებობაც სჭერია. ცნობილ ეროვნულ მოღვაწეს გრიგოლ ვეშაპელს ეს კაჩუხოვი მექრთამეობაში უმხილია. უჩივლია კაჩუხოვს ცილისწამებისათვის და გამართულა სასამართლო პროცესი.

დაუბარებიათ ვეშაპელის მოწმე რევაზ გაბაშვილი და უკითხავთ:

რა იცით ამ საქმეზედ?

— მე არ მინახავს თვითონ აუღია თუ არა ქრთამი ბატონ კაჩუხოვს, — პასუხობს მოწმე, — არც ჩემთვის გამოურთმევია,რადგან არასოდეს საქმე მასთან არ მქონია და არც ვიცნობ, მაგრამ ერთი შემიძლია დავიმოწმო. ბაზარში როდესაც დიდ ანგარიშებს ასწორებენ, ამბობენ: „ამა და ამ საქმეში ამდენი კაჩუხოვი მივეციო", „მავანმა კაცმა ათი კაჩუხოვი გამომართვაო" და სხვა და სხვა. (კაჩუხოვი ხალხმა დაარქვა იმ ფულს, რომელსაც ადრე „კატერინკა" ერქვა, რადგან მასზე იმპერატრიცა ეკატერინეს სახე იყო გამოსახული).

აქედან თქვენ თვითონ შეგიძლიათ დაასკვნათ, ბატონო მოსამართლე,თუ...

მაგრამ ფრაზა არც დაამთავრებინა, საიდანღაც წამოხტა თვითონ კაჩუხოვი და დაიყვირა: „ეს სულ ქუჩიდან მოტანილი ამბებიაო!

— დიახ, ბატონო, მე ხომ თვითონ მოგახსენეთ,რომ ასეთი ლაპარაკი და ანგარიში ბევრჯერ გამიგონია ბაზარშიც და ქუჩაშიც—ო.

მენშევიკების დროინდელმა სასამართლომ, რაც უნდა გასაკვირი იყოს ვეშაპელი გაამართლა.

ჩვენს სასამართლოს რა ღმერთი გაუწყრება ქუჩიდან მოტანილი ამბის გამეორებისათვის, მე რომ დამსაჯოს?

მით უფრო, თვით რჩეულიშვილს ქუჩიდან მოტანილი ამბები ლამის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აჰყავს და ისე ებრძვის ნოდარ ნათაძეს.

რაც შეეხება დოკუმენტებს,დოკუმენტებით საუბარი წითელი ბარათების რუბრიკას მოუხდება...

აქ წარმოდგენილი წერილები მხოლოდ ყვითელი ბარათების ფუნქციას ასრულებს.

დაბოლოს, არ შემიძლია არ აღვნიშნო, ბატონმა ვახტანგმა ისეთი კეთილგანწყობითი შეხვედრა და სალამი იცოდა პირადად ჩემთან, ცოტა ზარცხვენილად ვგრძნობ თავს. სათაურიც ამ განწყობით შევარჩიე.

კაცს რომ კაცის მოკვლა არ უნდა, დუმბაძის არ იყოს, შემომაკვდაო წერს.

ჩემი საქმეც ასეა, რჩეულიშვილი შემომეკრიტიკა...

p.s ეს წერილი გამოსაქვეყნებლად

გაგრძელება მე-8 გვ.

მეშვიდე გვერდიდან

მზად იყო, როდესაც „ლიტერატურულ საქართველოში“ გ. ლომაძის ხელმოწერით დაიბეჭდა ნ. ნათაძის საქმიანობის „მამხილებელი“ დოკუმენტიც. არადა, აწ უკვე გახმაურებული საქმის უშუალო მონაწილენი ამ საქმეში ნათაძეს ბროლივით სუფთად სთვლიან.

დანარჩენი დაწვრილებით იხილეთ შემდეგ ნომერში.

## დეპუტატი აკაკი ბრეგაძე

**ბატონი** აკაკი რომ დეპუტატია სათაურშივე უბრალო მიზეზის გამო აღვნიშნე — მინდა ამომრჩეველმა იცოდეს,რომ გვყავს ასეთი დეპუტატი. ჩვენი უცნაური საარჩევნო კანონის გადამკიდე ხმოსნებმა, ბევრი პარლამენტარის არსებობა არ ვიცით, შესაძლოა,ისე ჩამთავრდეს საპარლამენტო სამი წელი, რომ მათი არსებობა ვერც შევიტყოთ.

მაგალითად, ბატონი აკაკის შესახებ პირადად მე არაფერი ვუწყოდი, არც ის ვიცი, რომელი პარტიაა უმაღლეს საკრებულოში მისი პერსონით წარმოდგენილი. ერთკაციანია ეს პარტია თუ მეორე წევრიც ჰყავს...

მაგრამ პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე, პატივცემულმა პარლამენტარმა სამუდამოდ აღბეჭდა თავისი სახელი და გვარი ჩემს მეხსიერებაში და ალბათ სამშობლოს ისტორიაშიც ოქროს ასოებით ჩაეწერა...

კერძოდ, სესიაზე მოვიდა ცნობა იმის შესახებ,რომ აფხაზმა მკვლელებმა გალის რაიონში მორიგი ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს ქართველებისა.

პირწმინდად გადაწვეს სოფლები,ნადირობდნენ ადამიანებზე და ვისაც სად მოასწრებდნენ წამებით ხდიდნენ სულს. „უკეთეს“ შემთხვევაში ხვრეტდნენ. ვისაც გამოესწრო ქალს, ბავშვს, მოხუცსა თუ ახალგაზრდას, — წელამდე თოვლში, ყინვაში, შიშველ-ტიტვლებს, მშივრებს, ტყისთვის შეეფარებინათ თავი და ცეცხლსაც ვერ ანთებდნენ,მტერს რომ არ შეენიშნათ.

ბუნებრივია, ამ საშინელმა ცნობამ მთელი საქართველო და, ცხადია პარლამენტი დაზაფრა.

ყველა ეძებდა გამოსავალს, ყველა ითხოვდა რაღაც პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმას უბედური ადამიანების გადასარჩენად. პარლამენტში ვნებათაღელვამ კულმინაციას მიაღწია.

ვიღაცას რაღაც ჰკვიანური უნდა ეთქვა.

წამოდგა ეს დეპუტატი ბრეგაძე და, აქაოდა, ეს დროული კაცი ემოციებს როგორ ავყვებიო, ძალიან „ჰკვიანურად“ განაცხადა დაახლოებით ასეთი რამ: ბატონებო, დავფიქრდეთ, ნუ ავჩქარდებით, შეიძლება ეს ამბავი პროვოკაციის მიზნით მოხდა. სამშვიდობო ხელშეკრულების ჩასაშლელადო...

ვისაც სამშობლო საკუთარ ოჯახზე მეტად თუ არა, საკუთარი ოჯახივით მაინც უყვარს, ის დამეთანხმება, უპრიანია ასეთი შედარება.

ოჯახის უფროსს რომ მოახსენონ, შენს ბინაში მკვლელები შეჭრილან, ცოლი გაგიუპატიურეს, შვილები ამოგიწყვიტეს,დედ-მამა გიწამეს და სახლი გადაგიბუგესო.

ოჯახის თავკაცი რომ „ჰკვიანურად“ განსჯის. შესაძლოა ეს ამბავი პროვოკაციის მიზნით მოხდა, მეზობლებს უნდათ წამკიდონო,რა ჰქვია იმ კაცს?..

ბრძენი კაცია, ბატონი აკაკი, ბრძენი...

ღმერთმა მის ოჯახს მშვიდობა მისცეს, მაგრამ გალელის უბედურებასაც თავისად რომ ჩათვლიდეს, იქნებ აღარ იყოს ასეთი „ბრძენი“...

## ადა მარშანიას ცრემლები

**ჩემი** ცოდვა ჰქონდეს სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს პოლიტიკური გაზეთის რედაქტორობა რომ „ამკიდა“. პოლიტიკურ ტექსტებ-მიმართვებს,ტრაქტატებს, ხელშეკრულებებს იმ „სიამოვნებით“ ვკითხულობ, ბავშვები რომ თევზის ქონს რიბიჟირს სვამენ. ამ მხრივ, დეპუტატი ადა მარშანია პირდაპირ მშველელად მომევლინა... ქართულ-აფხაზური ხელშეკრულებების ტექსტებს აღარ ვკითხულობ, ისეც ვიცი შიგ რა წერია.

თუ ადა მარშანია ტირის,მაშასადამე ქართველებისათვის მომგებიანი ხელშეკრულებაა გაფორმებული, თუ არა და, აფხაზების საქმეა კარგად.

მე თქვენ გეტყვით, ქალბატონი ადა ცრემლს საჯაროდ არ გამოაჩენს...

1992 წლის 3 სექტემბერს, ბატონმა ედუარდმა სოჩში ქართველებისათვის შედარებით მომგებიან (რომ შესრულებულიყო), ხელშეკრულებაზე მოაწერა ხელი. იმ წუთებში ტელეეკრანზე ვიხილეთ არძინბას ჩამოზეთილი სახე და მარშანიას ცრემლების ღვარღვარი.

მოსკოვის ამჟამინდელმა შეთანხმებამ მარშანია გაახარა, მაშასადამე, ამ დოკუმენტის წაკითხვა მე ამატირებს..

## «მე შაირი არ მინდოდა»

### (პასუხი დეპუტატ რომან მიმინოშვილს)

**გაზეთ** „ლიტერატურულ საქართველოში“ 30 მაისს გამოქვეყნდა რომან მიმინოშვილის წერილი — „შხამიანი სიტყვა ბრჭყალებიანი „საქართველოდან“.

ბატონმა რომანმა სათაურიდანვე მესროლა ხელთათმანი.მან მშვენივრად იცის, რომ ამ გაზეთს რედაქტორი ჰყავს, ხოლო რედაქტორს სათაურშივე დაუფიქსირა — არავითარი ხათრი და რიდი შენი არა მაქვსო.

ტექსტში ეს მომენტი უფრო გამოკვეთა და უშიშრად შემოუტანია გაზეთს. გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს: „ბატონმა მანახემ, რომელსაც ბონდო ღვინაძე ჰქვია, „საქართველოდან შემოუტია ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს. ეს „საქართველო“ ის საქართველო არ გახლავთ, თქვენ რომ იცით. ბრჭყალებიანი „საქართველო“ გაზეთია“.

ამ „ყოვლისმომცველი“ ინფორმაციის შემდეგ, რედაქტორი იმ შერეკილ კაცად წარმოიდგინა, ყველა გამვლელ-გამომვლელს რომ უბეჭდავს წერილს...

ეს ირონია სხვას არაფერს უნდა ნიშნავდეს —“გაზეთის რედაქტორი, მწერალი ნოდარ გრიგალაშვილი გაგვინაწყენდება და გვეტყვის — ჩემი მანასე გაზეთელი კი არ არის, მკითხველია, ხალხის წარმომადგენელი და წერილს როგორ არ დავუბეჭდავდი, საქართველო ხომ სახალხო გაზეთიაო“.

ბოლოს მიმინოშვილმა, როგორც ჩანს, იფიქრა, თუ შაყირია შაყირი იყოსო და ჩამიირონია — „რედაქტორს მინდა ვკითხო:დალოცვილო, მწერალი ვარო და არ შეგეძლოთ, გერჩიათ ავტორისათვის ცოტა უფრო დამაჯერებელი ტყუილი მოეგონებინა?“

ბატონ რომანს მწერალი ვგონივარ თუ „სვარჩიკი“, ამას არა აქვს ახლა არსებითი მნიშვნელობა, მთავარი ის არის, რომ მკითხველს შეაპარა — ბატონ ჭაბუა ამირეჯიბზე ცრუ წერილი ავტორს რედაქტორმა შეუკვეთა ან, უკეთეს შემთხვევაში, იცოდა რედაქტორმა ავტორი ცილს რომ სწამებდა მწერალს და მაინც დაბეჭდაო.

როგორც ხედავთ პატივცემულმა მიმინოშვილმა მკითხველის წინაშე მთლად ღირსეულ კაცად ვერ წარმადგინა...

„რა უნდოდა, რას მერჩოდა,ერთმანეთს რითა ვგვანდით?!“

გაზეთ „საქართველოში“ დაისტამბა ერთი ჩემთვის უცნობი ამომრჩევლის წერილი — „ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“. წერილში გაკრიტიკებულია ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის მოქალაქეობრივი პოზიცია. საუბარია იმაზე, თუ რით ახსნა „დათა თუთაშხიას“ ავტორმა ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს კომუნისტურ პარტიაში შესვლის ფაქტი, როცა იგი უკვე 62 წლის ასაკში იყო.

ის რასაც ამომრჩეველი წერს და რასაც აქ ბატონ ჭაბუსადმი პატივისცემის ნიშნად არ გავიმეორებ, სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ისეთი ფაქტი, რომელსაც ასევე სამწუხაროდ, სხვა ამომრჩევლებიც ადასტურებენ, ისინი, ვინც აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ.

იმედია, რომან მიმინოშვილი ბატონ ჭაბუას დათვურ სამსახურს არ გაუწევს და აღნიშნული წერილების გამოქვეყნებას არ მომთხოვს.

გასაგებია მიმინოშვილის აღშფოთება იმის გამო, რომ გაზეთმა საზოგადოებისათვის უცნობ ავტორს ცნობილი მწერლის მწარედ გაკენწვლის საშუალება მისცა, მაგრამ როგორც არ უნდა ავღელდეთ, უნდა შევეგუოთ იმ ფაქტს, რომ ზოგჯერ დიდ კაცთან პატარა კაციც შეიძლება იყოს მართალი...

მაგრამ ასეც რომ არ იყოს რა შუაში ვარ მე?

გაზეთ „საქართველოს“ იმ ნომერს,რომელშიც ბატონ ბ.ღვინაძის წერილი გამოქვეყნდა, გაზეთის რედაქტორი (ანუ მე, თქვენი მონა მორჩილი) ობიექტური მიზეზების გამო ხელს არ აწერს.

მხოლოდ ეს განცხადებაც კი მომხსნიდა ყოველგვარ პასუხისმგებლობას, მაგრამ ბ-ნ მიმინოშვილს მინდა დამატებით განვუმარტო — მიუხედავად იმისა, რომ ამომრჩევლის წერილის სიმართლეში ეჭვი არ მეპარება, ჩემი ხელმოწერით აღნიშნულ წერილს მაინც არ დავუსტამბავდი ორი მიზეზის გამო:

1) ბატონ ედუარდ შევარდნაძეს არაერთი ცრუ მწერალი და ცრუ მოღვაწე უმტკიცებს ახლა მარადიულ ერთგულებას, ადრე კი მისი ლანძღვით იკვლევდნენ კარიერის გზას.

მე ისინი კონკრეტულად არ მიმხელია, რადგან ასე თუ ისე, რაღაც ფორმით, მაინც დასმენას ჰგავს ეს ამბავი, ამიტომ რაღა ნამდვილ მწერალს, ჭაბუა ამირეჯიბს გავიმეტებდი...

2) ცნობილი მწერალი ბომარშე დილით პოლიციაში გარბოდა და ხალხს აბეზღებდა, საღამოს კი ღვთაებრივ ლექსებს წერდა. ახლა ხალხს ბომარში დიდ პოეტად ახსოვს მხოლოდ...

ზუსტი ანალოგიის ძებნას იმასთან, რასაც აქ დავწერ, მხოლოდ შარიანი კაცი ეცდება, მე კი ადამიანურად ვაცხადებ, არამც და არამც ბატონ ჭაბუას მწერლურ და საზოგადო მოღვაწეობას შორის ასეთი სხვაობა არ არის, მაგრამ სხვაობა არის. კერძოდ, რამდენადაც მკითხველი აღფრთოვანებულია მისით, როგორც მწერლით, იმდენადვე რბილად რომ ვთქვათ, დაბნეულია მისი საპარლამენტო გამოსვლებით...

პირადად მეც ბევრი რამ არ მომწონს (თუკი ეს რამეს ნიშნავს) ბატონ ჭაბუას გამოსვლებში, მაგრამ ჩემთვის მთავარი ისაა,რომ მან „დათა თუთაშხია“ დაუწერა ქართველ ხალხს და აქედან გამომდინარე, რაც არ მიეტევება - ვთქვით რომან მიმინოშვილს, ის მიეტევება ჭაბუა ამირეჯიბს...

ერთი სიტყვით, აღნიშნული წერილი არათუ ჩემი პასუხისმგებლობით დაიბეჭდა, უფრო მეტიც ვაღიარე, ჭაბუა ამირეჯიბთან მიმართებით, ზემოთქმულიდან გამომდინარე რედაქტორულ პრინციპულობას არ გამოვიჩენდი-მეთქი...

ბატონი მიმინოშვილი კი მიკიჟინებს — „არ შეგეძლოთ, გერჩიათ ავტორისთვის ცოტა უფრო დამაჯერებელი ტყუილი მოეგონებინა“-ო?

როგორც ხედავთ არ შემეძლო რომან ბატონო, არ მინახავს ის ავტორი. ახლა თქვენ მინდა გკითხოთ, ამ ჩემს „შაყირს“, არ შეგეძლოთ ეს უბრალო კაცი შარში არ გაგეხვიეთ?

არ შეგეძლოთ, და, აი, რატომ — თქვენი მიზანი იყო ჩემი დასმენა ქართველი მწერლებისა და ერთი ჩემი მეგობარი კრიტიკოსის წინაშე,რაც გამოიხატა შემდეგი ფრაზით — „ამ გაზეთისა და მისი რედაქტორის განწყობილება და მწერლობასთან დამოკიდებულება კარგად ჩანს იმავე ნომერში გამოქვეყნებული სახალხო ფრონტის მმართველი საბჭოს მიმართებაში საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისადმი“.

ბატონ რომანს და იმ მწერლებს რომელთაც სურთ „გამიმიჭირონ“ მწერლობის სიძულვილში და ჩემი დისკრედიტაციის მიზნით იმათ სიაში გადამრიცხონ მწერალთა წიგნებს რომ წვავდნენ, მინდა განვუცხადო შემდეგი, პოლიტიკური მოწინააღმდეგის გასალანძღავად ყველა ტყუილს ნუ იკადრებთ, ბატონებო, მით უფრო, რომ ტყუილს მოკლე ფეხი აქვს.

ქართულ მწერლობასთან გაზეთ „საქართველობასთან“ და მის რედაქტორს ასეთი დამოკიდებულება აქვს:

ჩემს რედაქტორობამდე გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა სამად სამი მწერალი.

ჩემი რედაქტორობიდან დღემდე გაზეთ „საქართველოში“ დასტამბულია, რაც ზეპირად გავიხსენე, 100-მდე მარტო ოფიციალური წევრი მწერალთა კავშირისა — ლექსებით, ინტერვიუებით, წერილებით.

როგორი დამოკიდებულება მქონია მწერლობასთან, ბატონო რომან?

ჩემი რედაქტორობის შემდეგ „საქართველოში“ გაჩნდა რუბრიკა — „მწერალი და ცხოვრება“. ესეც ალბათ მწერლობის სიძულვილით მომივიდა...

აქვე ერთ ინფორმაციასაც მოგაწვდით. აღნიშნული რუბრიკა გაიხსნა

დასასრული მე-9 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მევე გვერდიდან

ჯაბუა ამირეჯიბთან ინტერვიუთი. კიდევ ერთი, გამსახურდიას ხელისუფლების დროს ცნობილი მიზეზების გამო ჯაბუა ამირეჯიბის იუბილე ვერ აღნიშნა ვერცერთმა გაზეთმა გამონაკლისის გარდა, და ეს გამონაკლისი გახლდათ გაზეთი „საქართველო“.

ეს არის მწერლობის სიძულვილი?

მწერალთა ის წერილები, რომელნიც იმავე დროში არ ქვეყნდებოდა სწორედ მწერალთა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, ისტამბებოდა ისევ ჩემს „საქართველოში“...

ამიტომ გამაშაყირეთ არა, ბატონო რომან!

კიდევ და კიდევ ერთი.

გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა ლიტერატურის ისტორიკოსებისათვისაც კი უცნობი სამი ძვირფასი მასალა.

გალაკტიონ ტაბიძის სრულიად უცნობი ლექსი (ცხადია, კრიტიკული ხასიათისა) სტალინზე.

იოსებ გრიშაშვილის უცნობი ლექსი „საქართველოს ზოდიაკი“.

იოსტოს ანდრონიკაშვილის, ანუ უცნობი ავტორის შესანიშნავი უცნობი ლექსი.

კიდევ რა უნდა გვექნა, მწერლობის სიძულვილი რომ არ დაგვბრალებოდა? არაერთი მწერალი პირადად მეც და ჩემს გაზეთსაც გაუკრიტიკებია, მაგრამ მღვდელი რომ არ მოგწონდეს, განა ეს მთელი ეკლესიის ან მთელი ქრისტიანობის სიძულვილს ნიშნავს?

ვფიქრობ, საკმარისია ჩემგან ამ აბსურდულ ბრალდებებზე თავის მართლება. წერილს ერთი ანეკდოტით დავასრულებ:

ქმარი ნერვიულობს, ვერ იძინებს. ცოლი მიზეზს ეკითხება. მეზობლის ვალი მაქვსო — იყო პასუხი.

ცოლმა კედელს მიუბრაგუნა და მეზობელ მიხოს გასძახა:

— მიხო, ჩემს ქმარს შენი ვალი აქონია და არ გადაგიხდისო, შემდეგ მეუღლეს მოუბრუნდა და უთხრა, ახლა შენ დაიძინე და იმან ინერვიულოსო.

მეც ჩემს წერილს დავამთავრებ და აწი რომან მიმინოშვილმა ინერვიულოს. მან გასცეს ჩემს ბრალდებებს პასუხი, ბრალდებებს, რომელიც „წითელ ბარათებში“ გამოქვეყნდება.

დავიწყოთ იმით, რამაც მიმინოშვილი გააგულისა.

## რატომ არ დავბეჭდე ერთი წერილი?

ამ ორიოდე თვის წინ გაზეთ „შანსში“ დაისტამბა 60 წელს გადაცილებული დამწყები ჟურნალისტის ვრცელი სტატია „პასუხი №2-ს ანუ უვლიათ თუ არა ნიშნიანიძეს და ნათაძეს ერთად გოგოებში?“ (სტატიის ავტორის გვარი არ მახსოვს).

აღნიშნული წერილი იდო გაზეთ „საქართველოში“, გაზეთ „დრონში“.არც მე და არც დრონის რედაქტორმა იგი არ გამოვაქვეყნეთ. დაიბეჭდა რა „შანსში“, ჩემმა კოლეგამ ბონდო ქურდაძემ მთხოვა, მიმეწერა,თუ რატომ არ გამოვაქვეყნე წერილი „საქართველოში“.

აღნიშნული სტატია უამრავი მიზეზის გამო დაბეჭდვას რომ არ იმსახურებდა, ამაზე თვით „შანსის“ სარედაქციო მინაწერშია მინიშნებული, მაგრამ კოლეგას არ გავუტეხავ ხათრს და დაგვიანებით მაინც ორიოდე სიტყვას მივწერ, ვინძლო, თავადაც გაითვალისწინოს დასაბეჭდი მასალების შერჩევისას...

ბატონო ბონდო, - 20-იან წლებში, ნეპის პერიოდში, დაძრწოდა ბევრი უპატრონო, ტილებით დახუნძლული ბავშვი, რომელნიც განსაკუთრებული მეთოდით აკეთებდნენ ფულს...

ეს ბავშვები თურმე მიირბენდნენ სუფთად ჩაცმულ, გამოწკეპილ ინტელიგენტთან და ეტყოდნენ: ბიძია,მოგვეცი სამი მანეთი,თორემ გაგეხახუნებითო...

მე ყველა ავტორს პატივს ვცემ და ავტორის მისამართით როგორ მოვიშველიებ ამ შედარებას, მაგრამ არის თვით წერილები, ისეთი სიბინძურით ჩატილიანებული, რომლის სუფთა გაზეთთან გახახუნება არ შეიძლება...

## ვინ იქნება მსხვერპლი ხვალ?

სამწუხაროდ, ტერორიზმის, როგორც ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე უსასტიკესი ფორმის, პრობლემა მსოფლიოს მრავალ ქვეყანას აწუხებს და მათ შორის ისეთ ცივილიზებულ სახელმწიფოებსაც კი,როგორიც გახლავთ ვთქვათ, ინგლისი, ან იტალია. რაც შეეხება ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, ბევრ მათგანში ტერორიზმი ისე მძინვარებს,რომ ამ ქვეყნების ხელისუფლებას მისი აღკვეთის არავითარი საშუალება არ გააჩნიათ. ტერორისტული აქტი, როგორც ასეთი, საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს და შეიძლება ითქვას, ისტორიაში ცნობილი ყველა ტერორისტულ ქმედება მეტწილად პოლიტიკასთან და პოლიტიკოსებთან არის დაკავშირებული. ტერორიზმი, როგორც ადამიანზე ან ადამიანებზე ზემოქმედების სისხლიანი გზა იმითაც არის შემზარავი, რომ იგი სრულიად უდანაშაულო ადამიანებს უსპობს სიცოცხლეს და თუ არ ჩავთვლით მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედ ცნობილ ტერორისტულ ორგანიზაციებს, რომლებიც პოლიტიკური მოტივით სჩადიან ტერორისტულ აქტებს და პასუხისმგებლობასაც იღებენ ამისთვის, ბევრი ტერორისტული დანაშაულის ჩამდენნი უცნობნი რჩებიან და როგორც იტყვიან, ხახვივით შერჩებათ ხოლმე უდანაშაულო ადამიანთა სისხლი.

ჩვენთვის მეტად სავალალო და თავში საცემი ის არის,რომ ეს დამღუპველი სენი, ეს საზარელი სიმახინჯე, როგორც სჩანს, ჩვენშიც იკიდებს ფეხს და მისი აღკვეთის საშუალება, ეტყობა, ხელისუფლებას არ გააჩნია. პოლიტიკური ორგანიზაციების შტაბ-ბინების აფეთქებები, ქალაქის პროკურორის, თავდაცვის მინისტრის მოადგილის, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის მკვლელობები, სხვადასხვა სახელმწიფო მოღვაწეებზე თავდასხმის მცდელობები, რომლებზეც პასუხისმგებლობას არაცერთი პოლიტიკური ძალა ან ტერორისტული ორგანიზაცია არ იღებს და რომელთა გახსნის თავი, ისე ჩანს. ნაღდად არ აქვს ჩვენს უშიშროების ორგანოებს, იმაზე მიგვანიშნებენ, რომ ჩვენ განწირულნი ვართ ისეთი ცხოვრებისათვის, როცა ყოველი ახალი დღის გათენებას შიშით ელი კაცი და საღამოს სახლში მისული ღმერთს მადლობას სწირავ, რომ შინ მშვიდობით დაგაბრუნა.

სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ვერსად წაუხვალ. სულ სხვა საქმეა, თუ ვის ინტერესებში შედის ეს ტერორისტული აქტები. ხელაღებით, ემოციების დონეზე ვერავის დაადანაშაულებ. ყველაფერ ამას შესაბამისი ორგანოების და პირველ რიგში,უმაღლეს ხელისუფალთა სერიოზული, ღრმა ანალიზი სჭირდება და სათანადო დასკვნების შემდეგ, იმ პოლიტიკის წარმოება,რომელიც გამორიცხავს ტერორიზმს,როგორც სახელმწიფო ცხოვრების წესს.

ისე,კაცმა რომ თქვას, ამ ბოლო ხანს თბილისში, სომხური დრამატული თეატრის შენობაში მომხდარი ტერორისტული აქტი,რომელიც თავისი მასშტაბით მართლაც რომ სჭარბობს ზოგიერთ ადრე ჩადენილ ტერორისტულ ქმედებებს და რომელიც,უდავოა, ქართველთა და სომეხთა ურთიერთქიშპობის გასაღვივებლადაა მოწყობილი,ნაღდად გვაფიქრებინებს, რომ იგი ორგანიზებულია სწორედ იმ ძალის მიერ, რომელსაც პრესაში ზოგჯერ მესამე ძალით ვიხსენებთ და რომლის კისერზეცაა სამაჩაბლოც, აფხაზეთიც და თითქმის ყველა ჩვენი უბედურება.

მტერი რომ არ ცხრება და თავის შავ საქმეს აკეთებს, ეს ბუნებრივია და არც უნდა გაგვიკვირდეს. მეტიც, მისგან კიდევ უარეს რაღაცეებს უნდა მოველოდეთ. გასაკვირი ის არის, თუ რატომ არიან ჩვენი ხელისუფალნი და უწინარესად, შესაბამისი სამსახურები უმოქმედონი, რატომ არ გაიხსნა აქამდე არცერთი ტერორისტული დანაშაული, რაშია მიზეზი? პასუხი ალბათ, ორგანოების ან სურვილის უქონლობა, ან არ შესწევთ ამისი ძალა. პირველი, ვფიქრობ, გამოსარიცხია (ღმერთმა ნუ ქნას,რომ არ იყოს გამოსარიცხი), ხოლო მეორე კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჩვენში დღეს სახელმწიფოებრიობა არ არსებობს და ამდენი ტერაქტიდან ვერცერთის გაუხსნელობა ჩვენი ბედკრული ქვეყნის ვერცერთი მოქალაქეს ვერ მისცემს იმის გარანტიას, რომ იგი საღ-სალამათი შეხვდება ხვალინდელ დღეს, მით უფრო იმათ, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით არც ხელისუფალთ მოსდით თვალში, არც იმ მესამე ძალასა და არც იმ ინკოგნიტო ტერორისტებს, რომლებიც დღემდე უცნობი რჩებიან დღევანდელი საქართველოსთვის და არაა გამორიცხული,არც მომავლის საქართველოსთვის გახდნენ ცნობილი.

ამასობაში კი აფეთქებების სერია გრძელდება. ვინ იქნება მსხვერპლი ხვალ? აი კითხვა, რომელიც ბედისწერასავით დასტრიალებს თავს ჩვენს სამშობლოს.

სერგო ჯანაშია

### მკითხველთა წერილებიდან

## ავიცილოთ მოსალოდნელი უბედურება

იმაზე მეტი უბედურება რა იქნება, რაც ჩვენი მომავალი თაობის დაავადებაა, ეს იმ დაავადებაზეა საუბარი, რომელმაც თავი იჩინა ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე რაჭის რეგიონში; როგორც ამბობენ, მიწისძვრის შედეგად სასმელმა წყალმა დაკარგა იოდის შემცველობა, რის შედეგადაც რაჭაში ჩიყვით დაავადდა მომავალი თაობის თითქმის 50 %, (აღნიშნული დაავადება შეიძლება გამოწვეული იყოს აგრეთვე ბოლო წლების მანძილზე რადიაციის კატასტროფული ზრდით. ხშირია ახალგაზრდებში სისხლის გათეთრების დაავადების ფაქტებიც). რასაც არავითარი ყურადღება არ ექცევა მავანი და მავანისაგან.

ძვირფასო რედაქციავ, იქნებ თქვენი მეშვეობით მივაწვდინოთ ხმა ამ მავანთ და მავანთ და მოწყალების თვალით გადმოხედონ ისედაც უპატრონოდ მიტოვებულ ულამაზეს კუთხეს,რაჭას.


## კლინიკა «უნიკალში» გაიხსნა ფუნქციონალური მოშლილობის სამკურნალო განყოფილება

ყველას, ვისაც გაწუხებთ უძილობა, თავის ტკივილი,შფოთვა, შიში,დეპრესია, არტერიული წნევის მერყეობა, მენსტრუაციისწინა დაძაბულობა, შაკიკი,სექსუალური დისფუნქციები როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში (სქესობრივი სისუსტე, სექსუალური დაუკმაყოფილებლობა, ურთიერთ შეუთავსებლობა), ენაბორძიკი, ენურეზი, თმის ცვენა, ჭარბი წონა, ნეიგენური კანის დაავადებები, ალერგიული რეაქციები და სხვა ემოციური თუ ფიზიკური დისკომფორტი:

ყველას, ვისაც გინდათ, აიმაღლოთ ტონუსი, შრომის უნარი, აირიდოთ ავადმყოფობა და ადრეული სიბერე, გაიუმჯობესოთ გონებრივი შესაძლებლობები და მეხსიერება, იყოთ ყოველთვის ფორმაში და წარმატების მწვერვალზე.

გთავაზობთ ფუნქციონალური მოშლილობის მკურნალობისა და პროფილაქტიკის უახლეს სუპერტექნოლოგიებს:კომპიუტერული ნეიროსტრუქტურული მოდიფიკაცია, ერიქსონიანური ტრანსი ქოლორლაიტინგი, ტრეგერინგი, ესტონ-პატერნინგი, ჰოლოტროპიული სუნთქვა.

კლინიკაში თქვენ შეგიძლიათ ჩაიტაროთ სრული კლინიკური გამოკვლევა, თერაპევტის, ნევროპათოლოგის, ფსიქოლოგის,ფსიქიატრის, სექსოლოგის კონსულტაცია.

**განყოფილებაში ანაზღაურება ნაღდი ანგარიშსწორებით.**

**ჩვენი მისამართია: ქავთარაძის ქ. №1 6; №2**

**საავადმყოფო-პოლიკლინიკა, VII სართ. ოთახი 33**

**მიმდინარე** წლის 7-9 მაისს ჩატარდა აფხაზეთის განთავისუფლების კავშირის ყრილობა.ყრილობამ მიიღო რეზოლუციები, რომლებსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.

## აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობის რეზოლუცია

# 1992–1993 წლებში საქართველოს მიმართ აფხაზეთში განხორციელებული აგრესიის შედეგებისა და პრობლემების მოგვარების შესახებ.

### 1993 წლის სექტემბრის ბოლოს თითქმის 13-თვიანი ბრძოლების შემდეგ რუსეთმა საქართველოსთვის თავსმოხვეული „აფხაზურ-ქართულ" კონფლიქტად წოდებული ომის შედეგად მისი კიდევ ერთი კუთხის — აფხაზეთის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია მოახდინა.

იმპერიულ ძალებს აფხაზეთში გაჭიანურებული ხასიათის საომარი მოქმედება აწყობდათ, რადგან საქართველოზე ზეწოლის გაძლიერების თვალსაზრისით ეს მეტ შესაძლებლობებს იძლეოდა. სწორედ ამიტომ იქნა შეჩერებული გუმისმთასთან ქართული ჯარი. ნაცვლად იმისა,რომ საქართველოს ხელისუფლებას განეხორციელებინა სწრაფი და რადიკალური პოლიტიკური და სამხედრო ზომები, მან ყოვლად გაუმართლებელი და საზიანო თავდაცვითი ტაქტიკა აირჩია. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების ძალისმიერ სტრუქტურულ ელემენტებს ერთი ხელმძღვანელი - მთავარსარდალი ჰყავდა, შეიარაღებული ძალების დაქსაქსულობა ამან ვერ აღმოფხვრა. არ არსებობდა ერთიანი ჯარი და მისი ცენტრალიზებული მართვა. შენაერთების ხელმძღვანელებად, როგორც წესი, ინიშნებოდნენ არაკომპეტენტური პირები, ხოლო პროფესიონალებს ხშირად იძულებულს ხდიდნენ დაეტოვებინათ საომარი მოქმედების ზონა. დიდი მასშტაბები მიიღო მარადიორობამ და ყაჩაღობამ. შექმნილი მართვადი ქაოსი ნაყოფიერი ნიადაგი გამოდგა მაფიოზური სტრუქტურების აღზევებისათვის, რომლებმაც არმიაში შეაღწიეს. მიუხედავად ქართველ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილის დაჟინებული მოთხოვნისა, აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს თავიდანვე არ დაერქვა თავისი ნამდვილი სახელი — საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესია. რუსეთის მხილების ნაცვლად რომელიც აფსუა სეპარატისტებს ამოფარებული აწარმოებდა ომს, საქართველოს ხელისუფლებამ ის შუამავლად და „მშვიდობის გარანტად" ცნო, რითაც შეგნებულად შენიღბა მისი როლი და ამით ხელ-ფეხი გაუხსნა რუსეთს სამხედრო კონფლიქტის ესკალაციისაკენ. ანტიქართულ ძალებს მანევრირების საშუალება მისცა. მითმა, რეაქციული და დემოკრატიული რუსეთის შესახებ, რომელსაც დემაგოგიური მეთოდურობით ანვითარებდა ხელისუფლება. ამასთან, პოლიტიკურ ისტორიაში ნაკლებად ჩახედულთათვისაც კი ცნობილია, რომ საქართველოსთან მიმართებაში რუსული დიპლომატიის ეს ორი ტენდენცია მუდამ ერთ, ჩვენთვის, და, არა მარტო ჩვენთვის, სავალალო პოლიტიკაში ფოკუსირდებოდა. ე.წ. დემოკრატიული რუსეთით იმედმოცემული პოლიტიკური ელიტა და საზოგადოება კრიზისიდან გამოსავალს აფსუებთან მოლაპარაკებასა და მათთან შეთანხმებაში ხედავდა, თითქოს ომის სადავეები ერთი მუჭა სეპარატისტების ხელში იყო მოქცეული. დღეს ყველასათვის ნათელია, რომ რუსეთის შუამავლობით მიღწეული ყველა „ზავი" საქართველოს ძვირად უჯდებოდა. პირველი ოთხმხრივი მოლაპარაკების შედეგად გაგრის ტრაგედია დატრიალდა, შემდეგ შეთანხმებას სოხუმის ირგვლივ მდებარე სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტების (შრომა-ახალშენის მიმართულების) დაკარგვა მოჰყვა. სოჭის 27 ივლისის საბედისწერო ხელშეკრულების მიხედვით კი ქართული არმია გამოცხადდა უცხო ქვეყნის შეიარაღებულ ძალად, რომელსაც უნდა დაეტოვებინა ეს ტერიტორია. ამ შეთანხმებამ გადამწყვეტ ფაზაში შეიყვანა აფხაზეთის ტრაგედია: განიარაღა ქართული მხარე და გააძლიერა მოწინააღმდეგე. რუსეთს, რომელმაც ჩვენი ურთიერთობების მანძილზე უხეშად დაარღვია აბსოლუტურად ყველა ხელშეკრულება საქართველოსთვის უმძიმეს შედეგებით, რატომღაც მაინცდამაინც სოჭის აღნიშნული ხელშეკრულება უნდა შეესრულებინა. მიუხედავად იმისა,რომ მშვიდობიანი გზით აფხაზეთის პრობლემის სამართლიანი გადაჭრის იმედი თავიდანვე დიდი ილუზია გახლდათ, მაშინაც კი არ იყო გვიანი აგრესორისათვის აგრესორი გვეწოდებინა და მსოფლიოსთვის გვემცნო ეს. ცხადია, საქართველოს გამო რუსეთთან ომს დასავლეთი არ დაიწყებდა, მაგრამ მამხილებელი პოლიტიკური დემარშები გამოიწვევდა საქართველოსათვის უაღრესად ხელსაყრელ საერთაშორისო რეზონანსს, რაც უზრუნველყოფდა რუსეთის აგრესიის შეზღუდვისა და აღკვეთისათვის მსოფლიოში მრავალჯერ აპრობირებული პოლიტიკური და სამართლებრივი მექანიზმების ამოძრავებას, რის იგნორირებას ჩვენი „დიდი" მეზობელი ვერ შეძლებდა. მაგრამ რუსეთის მიმართ წარმოებულმა მა[illegible]ერმა პოლიტიკამ გაუგონარი მასშტაბის ერო[illegible] ტრაგედია დაგვატეხა თავს და ამასთან, ვერც ფა[illegible]ად ჩვენთან მეომარი ქვეყნის „მეურვეობას" აგვ[illegible].

ხელისუფლება [illegible]ლობდა ომში წარუმატებლობის მიზეზები ძირითადად დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში დატრიალებულ მოვლენებში ეძებნა. მიგვაჩნია,რომ დასავლეთ საქართველოში 19[illegible] 1993 წლ[illegible] მომხდარი არეულობების და შეიარაღებული კონფლიქტების დამკვეთნი და წარმმართველნი ერთ ანტიქართულ ბანაკს წარმოადგენენ, მიუხედავად იმისა, თუ რომელ მხარეს მიეკუთვნებიან მთავარი შემსრულებელნი. რა თქმა უნდა, ქართველთა გათიშულობამ მნიშვნელოვანი ნეგატიური დაღი დაასვა ომის მიმდინარეობას, მაგრამ განა მხოლოდ სამეგრელო აღმოჩნდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ომისგან მოწყვეტილი? აფხაზეთის დაკარგვა ძალიან ჰგავდა შეგნებულად ორგანიზებულ დამარცხებას. ამის მაგალითია გაგრის დაცემა,რაც ჩვენმა უდარდელობამ და ხელისუფლების ომისადმი დამოკიდებულებამ გამოიწვია. საინტერესოა, რამ შეუშალა ხელისუფლებას ხელი იმაში, რომ ომი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აეყვანა? ნუთუ სოხუმში კონცენტრირებული ძალები,მათი მინიმალური ორგანიზაციის შემთხვევაში, არ იყო საკმარისი ქალაქის დასაცავად? განა არ შეიძლებოდა მტრის მიერ სოხუმის აღების შემდგომ ჯარის უპანიკო უკანდახევა და თავდაცვითი ზღუდის სხვაგან ორგანიზება? განა მართლა ასეთი დაუძლეველი იყო კოდორის ბარიერი? საკითხავია, სვანეთის გავლით უამრავმა ადამიანმა და ჯარმა თუ შეძლო გადასვლა, ნუთუ სოხუმის დასახმარებლად ჯარმა ვერ გამოიყენა იგივე გზა? ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი, თუ არა ხელისუფლებას იმაზე, რომ არ მოხდა მოსახლეობის დროული ევაკუაცია, რომელიც ღვთის იმედზე იქნა მიტოვებული? ან კი როგორ მოხდა და დღემდე რატომ ვერ დადგინდა თუ ვინ იყო ის „ვიღაც უცნობი" ვისი ბრძანებითაც ჯარმა დატოვა ქალაქი და წინასწარ გამზადებულ სვანეთის გზას დაადგა, მოსახლეობას გაასწრო და სამშვიდობოს პირველმა გააღწია? ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი თუ არა ხელისუფლებას, რომელიც განუწყვეტლივ ლაპარაკობდა აფხაზ სეპარატისტების ამბოხებაზე და სოხუმი კი რუსეთის ფედერაციის არმიის რეგულარულმა ნაწილებმა აიღეს?

საქართველოს ხელისუფლების კაპიტულანტურმა პოლიტიკურმა კურსმა 1994 წლის 4 აპრილს ხელმოწერილ დოკუმენტებამდე მიგვიყვანა, რამაც სერიოზული საშიშროება შეუქმნა საქართველოს სახელმწიფოებრიობას, მის ტერიტორიულ მთლიანობას. თუკი ასე გაგრძელდა საბოლოოდ დაიკარგება აფხაზეთი.

კატეგორიულად მიუღებელია სამშვიდობო ჯარის ნებისმიერი კონტიგენტის ენგურზე ჩაყენება, რაც საქართველო-რუსეთის ფაქტიური საზღვრის დაფიქსირებას ნიშნავს. მიგვაჩნია, რომ სამშვიდობო ძალები უნდა განლაგდნენ მდ.ფსოუზე. ამასთან, დევნილი მოსახლეობის დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, როცა აფხაზეთში აღდგება საქართველოს იურისდიქცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსის ჯარის იმედითა და არძინბას ხელისუფლების პირობებში, იქ დევნილთა დაბრუნება შეუძლებელია. ეს გახდება ქართველთა მორიგი გენოციდის მიზეზი. იძულებით გადაადგილებულთა პრობლემის მოგვარების გაჭიანურება კი მათი საქართველოს სხვა რეგიონების მოსახლეობაში ათქვეფასა და დაბრუნების სურვილის შესუსტებას ან მის სრულ გაქრობას უქადის.

თუკი ასე გაგრძელდა, მსოფლიო თანამეგობრობისა და თვით რუსეთის მიერაც არაერთხელ აღიარებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, შესაძლოა, ქაღალდზე დარჩეს, რაც დამღუპველი იქნება საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის.

საქართველოს ხელისუფლების დღევანდელი პოლიტიკით აფხაზეთის დაბრუნების იმედი ძალზე ილუზიურია. როგორც ცნობილია, ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების წინა ეტაპებზე მიღებულმა დოკუმენტებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს საქართველოს სახელმწიფოებრიობას და მასში, როგორც წესი, არ მონაწილეობდნენ აფხაზეთის ქართული მხარის წარმომადგენლები.

ყრილობა კატეგორიულად მოითხოვს სახელმწიფოს მეთაურისაგან, პარლამენტისაგან, რომ აფხაზეთთან დაკავშირებული არც ერთი საკითხის განხილვა და არცერთი მოლაპარაკება არ მოხდეს აფხაზეთის ქართული მხარის, აფხაზეთის დევნილთა წარმომადგენლთა პრიორიტეტული მონაწილეობის გარეშე.

ყრილობას ასევე მიაჩნია,რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის,მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, აგრეთვე მომავალში შესაძლო აგრესიის აღკვეთისათვის აუცილებელია ბრძოლის უნარიანი არმიის ფორმირება.

ყრილობა მთელი დაჟინებით სვამს საკითხს საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებლობის შესახებ აფხაზეთის ტრაგედიის გამო.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ყრილობა თვლის, რომ აფხაზეთის უმწვავესი პრობლემის სამართლიანი მოგვარებისათვის აუცილებელია:

— აფხაზეთის ტერიტორიიდან ლაქირავებული მკვლელების, რომლებიც ძირითადად რუსეთის მოქალაქეებს წარმოადგენენ, გაძევდნენ;

— გამოირიცხოს ნებისმიერი სამშვიდობო ძალების ენგურზე ჩაყენება;

— ფსოუზე განლაგდეს ქართული ჯარისა და გაეროს საერთაშორისო მეთვალყურეთა კონტიგენტი;

— დაჩქარდეს ქართული ჯარისა და აფხაზეთიდან დევნილი რეზერვისტებისაგან ცალკეული მობილური შენაერთის ფორმირება;

— აფხაზეთიდან გაყვანილ იქნას რუსეთის ფედერაციის ჯარი;

— მოეთხოვოს რუსეთს საქართველოსთვის სასაზღვრო რეჟიმის ფუნქციონირების უზრუნველყოფა გაეროსა და ევროთათბირის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ;

— გამოირიცხოს ყოველგვარი მოლაპარაკება აფხაზეთის პრობლემის გარშემო აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მონაწილეობის გარეშე;

— შეწყდეს აფხაზეთის ტელევიზიის ლევნა-შევიწროება და მიეცეს მას ფუნქციონირების საშუალება;

— დენონსირებულ იქნას აფხაზურ საკითხთან დაკავშირებით დადებული ყველა ხელშეკრულება და გამოეცხადოს უნდობლობა ამ პროცესში მონაწილე დელეგაციების მთელს შემადგენლობას.

1994 წლის 9 მაისი

ქ. თბილისი

## აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობის რეზოლუცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შესახებ

**ყრილობა** არადამაკმაყოფილებლად აფასებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქმიანობას და მიაჩნია, რომ აფხაზეთის მთავრობა არ წარმოადგენს დევნილი მოსახლეობის მაკონსოლიდირებელ ორგანოს, ვერ უზრუნველყოფს მისი ინტერესების დაცვას და არ პასუხობს აფხაზეთის პრობლემის სამართლიანი მოგვარების ამოცანებს.

ყრილობა მოითხოვს:

1. გადადგეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო სრული შემადგენლობით;

2. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის 1994 წლის 10 მარტის დადგენილების შესაბამისად დაინიშნოს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ახალი თავმჯდომარე, რომელსაც დაევალება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი მთავრობის ფორმირება;

3. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ახალი შემადგენლობის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნას აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობის მიერ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს რეკომენდაციები.

1994 წლის 9 მაისი

ქ.თბილისი

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბატონ ბუტროს ბუტროს გალის

**თქვენო აღმატებულებავ!**

მოგმართავთ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სრულუფლებიანი წარმომადგენლობითი ყრილობის მონაწილენი, საკუთარ კერას მოწყვეტილი, ცხოვრებისა და არსებობის ნორმალურ პირობებს მოკლებული, დევნილი და შეურაცხყოფილი, საქართველოს 250 ათასი შვილის სახელით ძსოფლიო ხალხთა ფორუმს, რომელიც საკმაო ხანია რუდუნებით ეძებს აფხაზეთის პრობლემის გასაღებს. ჩვენ დიდად ვაფასებთ გაეროს, პირადად თქვენს ძალისხმევას საქართველოს ამ ძირძველი კუთხის მცხოვრებთა უსაფრთხო დაბრუნების პრობლემის დასაძლევად, საქართველოს — როგორც სუვერენული სახელმწიფოს — ტერიტორიული ერთიანობის შესანარჩუნებლად ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისაგან გადასარჩენად. მაგრამ, ამავე დროს, გვინდა გამოვხატოთ შეშფოთება აფხაზეთის პრობლემატიკის გარშემო ოთხმხრივ მოლაპარაკებათა მიმდინარეობის და მათი შედეგების გარშემო.

კერძოდ:

ა) დღემდე გრძელდება ქართველი მოსახლეობის მასობრივი გენოციდი და ეთნიკური წმენდა აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე. რუსეთის ტერიტორიიდან შემოდის გუდაუთის დაჯგუფების განკარგულებაში მყოფი შეიარაღებული ნაწილების შევსება ცოცხალი ძალით, სამხედრო ტექნიკითა და აღჭურვილობით;

ბ) მოლაპარაკებათა ერთ-ერთ მხარედ მიჩნეულია რუსეთის ფედერაცია, რომელმაც უშუალოდ განახორციელა აგრესია საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს მიმართ აფხაზეთში, მოახდინა ამ ტერიტორიის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია; თავისი ოფიციალური თუ არაოფიციალური სამხედრო შენაერთებით ანხორციელებს საოკუპაციო რეჟიმს აფხაზეთში, უშუალო მონაწილეა ქართველი (და არა მარტო ქართველი) მოსახლეობის მასიური გენოციდისა და ეთნიკური წმენდისა. ამავე დროს რუსეთის ხელისუფლება დაჟინებით მოითხოვს სამშვიდობო მისიის შესრულებას აფხაზეთში,რითაც სურს საკუთარი აგრესიის და მისი შედეგების შენიღბვა.

გ) საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლობა ამ მოლაპარაკებებზე თუ სხვა დონის შეხვედრებზე ეწევა გაუმართლებელ დათმობებს საქართველოს ეროვნული ინტერესებისა და ტერიტორიული მთლიანობის საზიანოდ. საკმარისია გავიხსენოთ ა.წ. 4 აპრილს მოსკოვში გამართულ მოლაპარაკებაზე ხელმოწერილი განცხადება „აფხაზურ-ქართული კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ", განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც საუბარია აფხაზეთის სტატუსზე..დსთ სახელმწიფოს მეთაურთა უკანასკნელ შეხვედრაზე ხელმოწერილია დოკუმენტი, რომლითაც იკვეთება აფხაზეთში ე.წ. სამშვიდობო მისიით დსთ-ს სამხედრო ნაწილების, ფაქტიურად კი რუსეთის არმიის ამოქმედების მეტად საშიში პერსპექტივა;

დ) მოლაპარაკებებზე კონფლიქტში მონაწილე მხარედ მიჩნეულია ე.წ. გუდაუთის დაჯგუფება — აფხაზეთის უკანონო მარიონეტული ხელისუფლება, რომელიც წარმოადგენს რუსეთის იმპერიალისტური სტრატეგიული მიზნების განხორციელების ინსტრუმენტს საქართველოში, ხოლო აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა — 250 ათასი დევნილი ადამიანი, რომელსაც ჩვენი ღრმა რწმენით, არანაკლები უფლება აქვს [illegible]დებოდეს „აფხაზურ მხარედ", მოკლებულია [illegible]საძლებლობას მონაწილეობდეს საკუთარი ბ[illegible] გადაწყვეტაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავს მოვალედ ვთვლით მოგმართოთ შემდეგით:

1. მიმართოთ თქვენი მაქსიმალური ძალისხმევა იქითკენ, რომ შეწყდეს რუსეთის უხეში ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში. რუსეთმ[illegible] საქართველოს მიმართ დაიცვას საერთაშორის[illegible] თანამეგობრობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები სხვა სახელმწიფოთა საქმეებში ჩაურევლობის, მათი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის, საზღვრების ურღვეობის შესახებ. ამის უპირველესი პირობაა, რუსეთის მხრიდან საქართველოსთან სასაზღვრო რეჟიმის ფუნქციონირების უზრუნველყოფა გაეროსა და ევროთათბირის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ. საჭიროებისამებრ გაეროს შეიარაღებული სამშვიდობო კონტინგენტი უნდა განთავსდეს რუსეთ-საქართველოს საზღვრის გასწვრივ და უპირველეს ყოვლისა, მდ. ფსოუზე;

2. საერთაშორისო მოლაპარაკებებზე დღის წესრიგიდან მოიხსნას აფხაზეთის სტატუსის შესახებ რაიმე დოკუმენტის მიღება, ვინაიდან ეს გახლავთ საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმე, ხოლო საქართველოს ხელისუფლება ვერ ჩაითვლება უფლებამოსილად ამ საკითხის გამო მიიღოს რაიმე მეტნაკლებად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღებამდე, სანამ ამაზე არ იქნება საქართველოს ხალხის კანონიერად დადასტურებული ნება;

3. ამიერიდან აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას ჰყავს თავისი წარმომადგენლობა აფხაზეთის განთავისუფლების კავშირის სახით, რომელიც არჩეულია სრულუფლებიანი წარმომადგენლობითი ყრილობის მიერ, რომელიც შედგა თბილისში 7—9 მაისს. აქედან გამომდინარე, გთხოვთ, გაეროს უშიშროების საბჭომ აფხაზეთთან დაკავშირებულ პრობლემათა განხილვისას აგკ მიიჩნიოს მხარედ— აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ერთადერთ სრულუფლებიან წარმომადგენლად.

გამოვთქვამთ იმედს, რომ ჩვეული ყურადღებით განიხილავთ ჩვენს წინადადებებს და მიიღებთ იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მშვიდობასა და სტაბილურობას საქართველოში და, კერძოდ, აფხაზეთში, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ასეულათასობით დევნილის ღირსეულ დაბრუნებას, მათ მშვიდობიან და ბედნიერ მომავალს.

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ყრილობა.

9.05.1994 წელი

ქ.თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობის მიმართვა ქართველ ერს!

ქართველმა ერმა და საქართველოში მცხოვრებმა სხვა ხალხებმა ღრმად უნდა გაიცნობიერონ აფხაზეთის ტრაგედიის ჭეშმარიტი არსი. ერთიან სხეულს მოკვეთილი ნაწილი, ათასობით დახოცილი და ასეულ ათასობით დევნილი, დამცირებული და გაწამებული ადამიანი ქვეყნისათვის სწორედ ისეთი ჭრილობაა, რომლის მოშუშებაც სისხლისაგან დაცლის ერს.

მშობლიურ მიწა-წყლიდან დევნილთა ყრილობა მადლობელია ქართველი ერისა, იმ თანადგომისა, თანაგრძნობისა და მოწყალებისათვის, რასაც იგი ჩვენდამი იჩენს, მაგრამ განა სხვაგვარად შესაძლებელია? და თუ ამ თვალსაზრისით გარკვეული ხარვეზებიც არსებობს, დევნილთა ყრილობა თვლის, რომ ამ საქმეში მიუხედავად საერთო გაჭირვებისა, ლომის წილი ხელისუფლებას მიუძღვის!

მსოფლიო ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენაა, როდესაც მნიშვნელოვანწილად სახელმწიფოს უუნარობითა თუ დანაშაულებრივი შეცდომებით; დევნილებად ქცეულ მოსახლეობას თავად უხდება ძალისხმევა და ზეწოლა ხელისუფლებაზე, რათა მათ მოწყალების ხელი გაიღონ, — ჩვენს შეიარაღებასა და აფხაზეთში დაბრუნებაზე არაფერი რომ აღარა ვთქვათ.დევნილთა ყრილობის დელეგატებს მიგვაჩნია; რომ დღევანდელ ხელისუფლებას არა აქვს რწმენა ჩვენი გამარჯვებისა, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობისა, ეკონომიკური აღორძინებისა, არმიის შექმნისა და აფხაზეთის დაბრუნებისა — მაშ როგორ ვიცხოვროთ რწმენის გარეშე დებო და ძმებო? როგორ დავბრუნდეთ ჩვენს სახლებში თუ ნასახლარებზე? ნუთუ ვინმეს ჰგონია,რომ დევნილთა აფხაზეთში შესვლა მათივე ნებით მოხდება, ვინც ჩვენ იქიდან გამოგვყარა? განა შეიძლება კაცმა სამშვიდობო მოლაპარაკება აწარმოოს ჯალათებთან და მკვლელებთან? განა რეალური პოლიტიკა. და თუ გნებავთ დიპლომატიაც ზნეობას არ უნდა ეფუძნებოდეს? მით უმეტეს მაშინ, როდესაც ქრისტიანულ მორალს ვაღიარებთ მთავარ ფასეულობად.

ძმებო და დებო — ქართველებო, საქართველოს სხვა მცხოვრებნო, მოგიწოდებთ მეტი თანადგომისაკენ, მეტი სიფხიზლისაკენ, მეტი შემართებისაკენ. აფხაზეთი სრულიად საქართველოს ტკივილია და მას გამთლიანებულმა ერმა უნდა მოუაროს. მომავალი გამარჯვების საწინდარი ჩვენი ერთიანობა და მიზანსწრაფული, თავგანწირული ბრძოლაა. სხვა გამოსავალი აღარ არსებობს. ღმერთი იყოს ქართველი ერის მფარველი!

09.05.94 წ.

ქ.თბილისი

## მიმართვა ქართველ მეომრებს

თქვენ, ვინც ულტრათანამედროვედ შეიარაღებული მრავალრიცხოვანი აგრესორებისა და საკუთარი მთავრობის ერთობლივი მონდომების მიუხედავად თქვენი მხედრული სიმამაცითა და შეუპოვრობით, ნიჭიერებითა და მამულიშვილობით შესძელით ამ დასამარცხებლად დაგეგმილ ომშიც კი მოგეპოვებინათ სახელი და მთელი ქვეყნისათვის შეგეხსენებინათ, რომ არ მომკვდარა ჩვენში წინაპართა გენი და სამხედრო გენია.

თქვენ, ვისაც თქვენზე გადმონთხეული ცილისწამებისა და შეურაცხყოფის ნიაღვრის მიუხედავად დიდი იმედით შემოგყურებთ ერი, რადგან არ გაიგივებთ თქვენ თქვენთან მოტმასნილ თუ მოგზავნილ კრიმინალურ ელემენტებთან.

თქვენ მოგმართავთ ჩვენი დღევანდელი ყრილობის სახით არა 250 ათასი აფხაზეთიდან დევნილი ქართველი, არამედ სრულიად საქართველო.

თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და პროპაგანდისტულ მითისქმნადობას არ გაუჭირდება ულირსიც, ლაჩარიც და მოღალატეც კი გმირად და სამშობლოსათვის წამებულად წარმოუსახოს მომავალ თაობებს. მაგრამ ყველა ჯილდო თუ ჩინი, მათთვის მინიჭებული, ისტორიის სამსჯავროზე მათივე სამხილად გადაიქცევა.

მაგრამ თქვენც, ვინც ღირსნი ხართ, რომ თქვენს სახელებს წინაპართა სახელებთან ერთად ხიამყით ახსენებდეს შთამომავლობა, ვის საზგალითოდ გმირობაზეც დედები სიმღერებს უნდა უმღეროდნენ შვილებს — სისტიკი განაჩენი გელით ისტორიის სამსჯავროზე, რადგან თქვენი უდანაშაულობის ერთადერთი უტყუარი საბუთი ამ განკითხვის დღეს იქნება თქვენი გამარჯვებით განდიდებული ტერიტორიული მთლიანობა და ღირსება შეულახავი საქართველო.

აფხაზეთში დევნილთა დაბრუნების აუცილებელი პირობაა ჯერ აფხაზეთის დაბრუნება საქართველოში. ამისი გაკეთება კი მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ქართველო მეომრებო!

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის
წარმომადგენელთა ყრილობა
9.05.94.
ქ.თბილისი

## აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობის რეზოლუცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებისათვის ოთხმხრივ მოლაპარაკებებზე ხელმოწერილ დოკუმენტთა შესახებ

ყრილობა თვლის, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოებულმა მოლაპარაკებებმა აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით არანაირი პოზიტიური შედეგი არ გამოიღო. უფრო მეტიც, ხელმოწერილია დოკუმენტები, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს, აშკარა საშიშროებას უქმნის ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.

ყრილობა ადგენს:

1. დეზავუირებულ იქნას აფხაზეთის საკითხზე დადებული ყველა ხელშეკრულება;

2. უნდობლობა გამოეცხადოს მოლაპარაკებებში მონაწილე საქართველოს ხელისუფლების დელეგაციების მთელს შემადგენლობას.

9.05.1994

ქ.თბილისი

### პროექტი

# საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია

გაგრძელება. დას. იხ. „საქართველო" №10, 11

## თავი IV
## პარლამენტი

**მუხლი 72**

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანოა.

**მუხლი 73**

პარლამენტი შედგება 200 წევრისაგან, რომლებიც აირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ პარლამენტის შემადგენლობის ნახევარი უნდა განახლდეს.

პარლამენტის არჩევის წესს განსაზღვრავს კანონი.

**მუხლი 74**

პარლამენტის წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლების მქონე 23 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე.

პარლამენტის წევრობის კანდიდატად არ შეიძლება წამოყენებულ იქნეს სახელმწიფო მოსამსახურე და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი.

**მუხლი 75**

პარლამენტის წევრობის, სახელმწიფო სამსახურის, სხვა თანამდებობის თუ პროფესიის შეუთავსებლობის საკითხი განისაზღვრება კანონით.

**მუხლი 76**

პარლამენტის წევრი მთელი ხალხის წარმომადგენელია და თავის ფუნქციებს ანხორციელებს იმპარატიული მანდატის გარეშე.

**მუხლი 77**

პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა პარლამენტში გამართულ კენჭისყრის დროს გამოხატული პოზიციისთვის, აგრეთვე, იმ აზრისა და შეხედულებისთვის, რომელსაც იგი გამოთქვამს თავისი მოვალეობის შესრულების დროს, თუ ის შეიცავს ცილისწამებას.

**მუხლი 78**

პარლამენტის წევრის პიროვნება ხელშეუხებელია.

იგი არ შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის დანაშაულისთვის თუ ადმინისტრაციული გადაცდომისთვის ან იქნეს დაკავებული ან გაჩხრეკილი პარლამენტის მის წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 2/3-ით მიღებული თანხმობის გარეშე. პარლამენტის წევრის დაკავება პარლამენტის თანხმობის გარეშე შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მას დანაშაულის ჩადენაზე მიასწრებენ.

ეს შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს.

დაკავებული ან პასუხისგებაში მიცემული პარლამენტის წევრი უნდა გათავისუფლდეს თუ მას პარლამენტი მოითხოვს.

**მუხლი 79**

პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას, როგორც დეპუტატს, გაანდვეს. ეს უფლება მას უნარჩუნდება მაშინაც, როცა პარლამენტის წევრად არ ითვლება.

**მუხლი 80**

პარლამენტის წევრი იღებს კანონით განსაზღვრულ გასამრჯელოს სახელმწიფო ხაზინიდან.

**მუხლი 81**

პარლამენტი ყოველი წლის თებერვლის და სექტემბრის პირველ სამუშაო დღეს საკუთარი უფლებით იკრიბება თავის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიაზე. თითოეული სესიის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 125 დღეს.

პარლამენტის რიგგარეშე სესია მოიწვევა პრეზიდენტის, მინისტრთა კაბინეტის ან პარლამენტის წევრთა არანაკლებ 1/3-ის ინიციატივით.

პარლამენტი თავის რიგგარეშე სესიაზე განიხილავს მხოლოდ იმ საკითხს, რომლის გადასაწყვეტადაც იყო იგი მოწვეული.

პარლამენტის სესიის დახურვის ან მისი დროებითი შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი.

**მუხლი 82**

პარლამენტი იღებს რეგლამენტს, რომელიც განსაზღვრავს პარლამენტის ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს.

პარლამენტი თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს და კოლეგიას.

პარლამენტი მის მიერ განსახილველი საკითხების წინასწარი მომზადების მიზნით ქმნის მუდმივ და დროებით კომისიებს.

**მუხლი 83**

პარლამენტს უფლება აქვს შექმნას საგამოძიებო კომისია დიდი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე

საგამოძიებო კომისიას უფლება აქვს შეასრულოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებები.

საგამოძიებო კომისიის დასკვნებს არა აქვს სავალდებულო ძალა სასამართლოსთვის.

**მუხლი 84**

პარლამენტის სხდომები საჯაროა. პარლამენტის სხდომას ან მის ნაწილს დახურულად აცხადებს მხოლოდ რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**მუხლი 85**

პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ მის სხდომას ესწრება პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.

პარლამენტი გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონებით ან რეგლამენტით.

**მუხლი 86**

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი:

იღებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას და კანონებს, შეაქვს მათში ცვლილებები,

ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციას და დენონსაციას;

წყვეტს ომისა და ზავის საკითხებს,

ამტკიცებს პრეზიდენტის ბრძანებულებას სამხედრო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ,

იძლევა თანხმობას საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გამოყენებაზე,

იღებს საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტს და ამტკიცებს მინისტრთა კაბინეტის ანგარიშს ბიუჯეტის შესრულების შესახებ,

ადგენს გადასახადებს და სხვა მოსაკრებლებს,

იღებს საშინაო და საგარეო კრედიტებს,

ანხორციელებს კონტროლს ფულად ემისიაზე,

აცხადებს ამნისტიას,

აწესებს სახელმწიფო ჯილდოებს, უმაღლეს სამხედრო და სპეციალურ წოდებებს, დიპლომატიურ რანგებს და წოდებებს,

ანხორციელებს კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**მუხლი 87**

პარლამენტი პრეზიდენტის წარდგინებით ნიშნავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და წევრებს, სახელმწიფო კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თავმჯდომარეს.

**მუხლი 88**

პარლამენტი საქართველოს რესპუბლიკის კანონებს იღებს თავის წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით.

**მუხლი 89**

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს პრეზიდენტს, პარლამენტის წევრს, მინისტრთა კაბინეტს, ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობით ორგანოს და ხალხს. ხალხის საკანონმდებლო ინიციატივა ხორციელდება არანაკლებ 25 000 ამომრჩევლის მიერ ხელმოწერილი კანონპროექტის პარლამენტში წარდგენის გზით.

**მუხლი 90**

კანონპროექტი, რომელიც იწვევს სახელმწიფო შემოსავლის შემცირებას ან სახელმწიფო ხარჯის გაზრდას, პარლამენტს წარედგინება მინისტრთა კაბინეტის თანხმობით.

**მუხლი 91**

პარლამენტი კანონპროექტის განხილვის დროს კენჭს უყრის თითოეულ მუხლს ცალ-ცალკე და კანონპროექტს მთლიანად.

საკანონმდებლო პროცედურას ადგენს რეგლამენტი.

პარლამენტი იმ კანონპროექტს, რომელიც მინისტრთა საბჭომ გადაუდებლად გამოაცხადა, განიხილავს რეგლამენტით დადგენილი გამარტივებული პროცედურით.

**მუხლი 92**

პარლამენტი უფლებამოსილია მინისტრთა საბჭოს წინადადების საფუძველზე მიიღოს კანონი მინისტრთა საბჭოსადმი საკანონმდებლო უფლებამოსილების გადაცემის შესახებ. კანონში უნდა განისაზღვროს გადაცემული უფლებამოსილების რეგულირების საგანი და მოქმედების ვადა.

დელეგირებულ საკითხზე საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს მხოლოდ მინისტრთა საბჭოს

საკანონმდებლო დელეგაციის საფუძველზე მინისტრთა საბჭო გამოსცემს დეკრეტს. დეკრეტი ძალადაკარგულად ჩაითვლება თუ გამოცემის დღიდან 6 თვის განმავლობაში არ დაამტკიცებს პარლამენტი.

**მუხლი 93**

მინისტრთა საბჭო შესაბამისი საკანონმდებლო დელეგაციის გარეშე დეკრეტებს გამოსცემს მხოლოდ საგანგებო და გადაუდებელ შემთხვევებში. ასეთი დეკრეტი დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს პარლამენტს უახლოეს სხდომაზე თუ დეკრეტი გამოიცა სესიებს შორის პერიოდში, პარლამენტი მის დასამტკიცებლად 5 დღის ვადაში იკრიბება რიგგარეშე სესიაზე.

**მუხლი 94**

92-ე მუხლის საფუძველზე გამოცემული დეკრეტით არ შეიძლება კონსტიტუციის, კანონის არჩევნების შესახებ, საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია და დენონსაცია, ბიუჯეტის მიღება ან მათში ცვლილებების შეტანა.

გაგრძელება იქნება



## დეპუტატობის კანდიდატი

**ბიოგრაფიული მონაცემები.** ქართველი. დაიბადა 1950 წლის 20 აგვისტოს. 1967 წელს დაამთავრა ქ. ჭიათურის №3 საშუალო სკოლა, ხოლო 1980 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფსიქოლოგიის სპეციალობით, რომლის დამთავრების შემდეგაც მუშაობს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროში წამყვან სპეციალისტად. ომის დაწყების პირველივე დღეებიდან იბრძოდა აფხაზეთში. გაგრაში 103-ე ბატალიონში ოცეულის მეთაურად, ხოლო შემდეგ შრომითი კამანის დაჯგუფებაში, მეცხრე ნაწილის დაზვერვის უფროსად.

ამჟამად არის საქართველოს სახალხო ფრონტის რუსთავის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, არის დეპუტატობის კანდიდატი და კენჭს იყრის ქალაქ რუსთავის №20 საარჩევნო ოლქში.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

# ბადრი მეფარიშვილი:
# კვლავაც ვიბრძოლებ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე

**— ბ-ნო ბადრი, თქვენ ბრძანდებით საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი, დეპუტატობის კანდიდატი, მეომარი და თქვენთან შეხვედრა ალბათ საინტერესო იქნება, როგორც ჩვენი მკითხველისათვის, ასევე თქვენი ამომრჩევლებისათვისაც. თქვენ აფხაზეთის ქარცეცხლში გამოვლილი კაცი ბრძანდებით. იცით განვლილი დღეების ავ-კარგი, ამიტომ მინდა მოგმართოთ ასეთი კითხვით — რატომ წავაგეთ ომი?**

— გაგრის დაცემის შემდეგ დიდხანს ვიყავი შოკირებული მომხდარით. ეს მაშინ ჩვენი პირველი დამარცხება იყო. მართალია, არ გვქონდა აწყობილი კავშირგაბმულობა, გვაკლდა ტყვია-წამალი, მაგრამ მარტო ამ მიზეზებით ვერ აიხსნებოდა ის ელვისებური დამარცხება ქართული საჯარისო ნაწილებისა, რომლებიც ამაგრებდნენ გაგრასა და ლესელიძეს. ვერც ყველაფერს ქართველთა ღალატს დავაბრალებთ, რომელზედაც ბევრი ითქვა და დაიწერა. მაგრამ არ თქმულა მთავარზე. ჩემთვის დღემდე გაუგებარია, რატომ უნდა მომხდარიყო ყოველივე, როდესაც იმ პერიოდში მტერზე მეტნიც ვიყავით და შეიარაღებაც უკეთესი გვქონდა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ არ იყო ერთიანი არმია, არ იყო ერთმმართველობაც. თავიდანვე არ იყო ომის მოგების დაინტერესება თვით მთავრობის მხრიდანაც. აკი ომსაც არ დავარქვით თავის დროზე ომის სახელი. ბ-ნი ედუარდ შევარდნაძე ამბობდა, რომ ჩვენ არ გვაქვს უფლება მცირერიცხოვანი ერის განადგურებისაო და თვალი შერიგებისაკენ ეჭირა, რაც ერთის მხრივ მართლაც ჰუმანური ნაბიჯი იყო, მაგრამ ამასთან იმ ეტაპზე ამის გამო ჩვენ წინ წაწევის უფლება ჩამორთმეული გვქონდა. რომ ყოფილიყო ბრძანება გაგრის აღებისა, მას 1—2 დღეში გავანთავისუფლებდით.

**— ესე იგი თქვენ თვლით, რომ ომის მოგება შესაძლებელი იყო?**

— დიახ, ომის მოგება თავისუფლად შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ გვეყოლებოდა ბრძოლისუნარიანი, ნაწრთობი არმია. აფხაზეთში ომის დაწყების პირველივე დღეებიდან დაიწყო მცდელობა ქართული ჯარის შესაქმნელად. ჩამოყალიბდა 101, 102 და 103-ე ბატალიონები. მაგრამ სახელმწიფოს მეთაური და ჩვენი მთავრობა არ იყო დაინტერესებული ომის წარმართვით და ის სახელდახელოდ შემოკრებილი ბატალიონები, რომლებიც ჩანასახი უნდა ყოფილიყო ქართული ძლიერი არმიისა, ასევე სახელდახელოდ გაგრის დაცემამდე რამოდენიმე დღით ადრე დაშალეს 3 სექტემბრის მოიმედე იმდროინდელმა მესვეურებმა.

**— კი მაგრამ, ნაწრთობი და გამოცდილი არმიის შექმნა არც ისე იოლია, მას საკმაო დრო სჭირდება.**

— რა თქმა უნდა, არმიის შექმნა რთული პროცესი გახლავთ და ალბათ ვერ შექმნი მას, თუ ეს არ აწყობს შენს ძლიერ მეზობელს, რომელსაც შენი ტერიტორიის მიმართ სულ სხვა ზრახვები აქვს. სახელმწიფო კი ძლიერი ვერაფრით ვერ იქნება, თუ მას არ გააჩნია ეროვნული არმია. სწორედ ალბათ ამან ათქმევინა ბ-ნ სახელმწიფოს მეთაურს ამ სამიოდე თვის წინ, რომ 15—20 დღეში ნახავთ, როგორ არმიას შევქმნიო. მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა.

**— იქნებ თანამეგობრობაში შესვლამ გვიშველოს, იქნებ მან დაგვიბრუნოს ის, რაც დავკარგეთ.**

— თანამეგობრობაში შესვლას ომი და სისხლისღვრა რაში სჭირდებოდა. რუსეთი ამ ე.წ. თანამეგობრობაში ყოველთვის მიგვიღებდა ბევრად უფრო ღირსეულად, ვიდრე დღეს. ყველაზე სავალალო კი მაინც ის არის, რომ ქართველმა ერმა დამოუკიდებლობა რეფერენდუმით მოითხოვა და მოიპოვა, მთავრობის მეთაურმა კი ბრძოლითა და შრომით მიღწეული თავისუფლება მართლაც რომ აგრესიულად მორჩილი უმრავლესობის ხელშეწყობით წაგვართვა, წაგვართვა ისე, რომ ალბათ ველარასოდეს დავიბრუნებთ.

**— ბატონო ბადრი, კიდევ ერთ ფაქტს მინდა გაუკეთოთ კომენტარი. ფაქტს, რომელიც ზოგიერთი ქართველი მებრძოლის სამარცხვინო ლაქად ჩაიწერება საქართველოს ისტორიაში. მე ვგულისხმობ იმ მოროდიორობასა და ყაჩაღობებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბრძოლების დროს.**

— ყველა ომის, დიდისა თუ მცირესი, თანამდევი მოვლენა მოროდიორობა და დეზერტირობაა. რა თქმა უნდა, აფხაზეთის ომიც არ იყო გამონაკლისი. ამ ომში ბევრი ხელს ითბობდა, ბევრი ჩინ-მედლებს აგროვებდა, ბევრიც შემთხვევით მოხვდა, მაგრამ ძირითადი ნაწილი 80% ნამდვილი ვაჟკაცები იყვნენ, ნამდვილი პატრიოტები. აკი საკუთარი სიცოცხლე ზვარაკად შესწირეს კიდეც სამშობლოს. მათი ხსოვნა საქართველომ სანთლებად უნდა აინთოს, ხდება კი პირიქით, მათ დიდ უმრავლესობას შეურაცხყოფას აყენებენ.

**— ბატონო ბადრი, თქვენ წაგებულ ომში წაგებული ჯარისკაცის სახელს ატარებთ. ის ბრძოლა, ის თავდადება და განცდები, რომელიც თქვენ, ქართველმა ჯარისკაცებმა გადაიტანეთ უშედეგო აღმოჩნდა. როგორ ფიქრობთ, ის მსხვერპლი, აფხაზეთის ომმა რომ შეიწირა, უაზროდ გაწირული ხომ არ არის?**

მე პირადად ომში ოჯახიდან გავიპარე. 43 წლის კაცი, სამი შვილის მამა ბავშვივით გავიპარე, რადგანაც მეუღლე ხშირად მეუბნებოდა: „შენ ამ ომში გასასალებელი მასალა ხარო“ — მეგონა ცდებოდა. ომის შედეგებმა კი მალე დამარწმუნეს, რომ ამ ომში თურმე ჩემს გარდა მრავალი ათას[illegible] ადამიანი ყოფილა გასასალებელ[illegible] ლა ფონის შესაქმნელად. ის გაწ[illegible] მსხვერპლი კი უაზრობად არასოდეს არ ჩაითვლება. შთამ[illegible] თავის ადგილს მოუძებნის.

**— როგორც თქვენი საუბრიდან გავიგე, თქვენ გარკვეულ ბრალდებებს უყენებთ მთავრობას, სახელმწიფოს მეთაურს.**

— მე მბრალმდებლის როლში არ გამოვდივარ, მაგრამ ყველას ყველაფრის სახელი უნდა დაერქვას. ყველა ომი ძალადობაა და ყოველგვარი ბოროტების საწყისი, რამეთუ ადამიანს არღვევინებს ათი მცნებიდან იმ უმთავრესს, რომელსაც „არა კაც ჰკლა“ ჰქვია. რის გამოც მე და ბევრი ჩემნაირი ალბათ ღმერთისგან განიკითხება. არა და ეს ომი ჩვენ არ დაგვიწყია. ჰიტლერმა თავისი ჯარისკაცების დანაშაული ქვეყნისა და ღმერთის წინაშე თავის თავზე აიღო და ამით ამქვეყნიური ხვედრი შეუმსუბუქა თავის ერს.

**— ბ-ნი ედუარდი ხშირად ამბობს ხოლმე, რომ იგი ახლა სულ სხვა პიროვნებაა, სხვა აზროვნებითა და მისწრაფებებით, რომ არ იხსნის პასუხისმგებლობას ამ ომის გამო და ა.შ.**

— მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო ბ-ნ სახელმწიფოს მეთაურს. ბატონო ედუარდ, აიღეთ თქვენი წილი პასუხისმგებლობა თქვენს თავზე ღმერთის წინაშე იმ ცოდვებისათვის, რაც ჩვენ ჩავიდინეთ ჩვენი სამშობლოს ერთიანობის დაცვისათვის და მე ვიწამებ, რომ თქვენ სხვა ედუარდი, გიორგი შევარდნაძე ბრძანდებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემთვის ისევ ის ედუარდ შევარდნაძე დარჩებით, რომელიც მრავალი წლის მანძილზე იყავით.

**— და ბოლოს, ბატონო ბადრი, რას ეტყოდით თქვენს ამომრჩევლებს, რას პირდებით მათ?**

— ჩემს რუსთაველ ამომრჩევლებს ვპირდები, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებ დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად. რომ პირნათლად შევასრულებ, როგორც ჩემს მოქალაქეობრივ, ასევე სადეპუტატო მოვალეობებს და პარლამენტში მხარს დავუჭერ მხოლოდ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელიც გარანტი იქნება საქართველოს მთლიანობისა და დამოუკიდებლობისა.

ესაუბრა
ირმა ლომაური

# ღია საფლავები

## ბიძინა გოლეთიანი

გაგრძელება დასაწყისი იხ. „საქართველო“ № 7,8,9,10,11

**11 იანვარი, 1993წ.**

თბილისში დელეგაციის გაგზავნა ვერ მოხერხდა. ნადარეიშვილის მოტყუებაც სოხუმში ერთი-ორი კაცის კერძო ინიციატივა იყო, იმ კაცებისა, რომლებიც აქტიურად არ მოქმედებენ ადგილობრივ ამბებში და მათ ეს გააკეთეს შტაბის აზრის გათვალისწინების გვერდის ავლით. დღეს მე მომაკითხეს და მთხოვეს, თბილისს გაემგზავრეთ, მე მათ ავუხსენი, რომ რისთვისაც უნდა წავიდე, ეს საკითხი უფრო ადგილზე გადასაწყვეტია. მივიღოთ ის, რაც მისაღებია, უარვყოთ ის, რაც მიუღებელია. ჩვენ მითითებების გარეშეც მედგრად ვიცავთ ჩვენს სოფელს. ჩვენი საქმე მხოლოდ თავდაცვა და იძულებითი მოგერიებაა; ნუ დაგვაძალებენ და გვაიძულებენ შეტევაზე გადასვლას. ამასთანავე სოფელს უნდა დაუბრუნდეს ის ბიჭები, რომლებიც წაყვანილი არიან სხვა ფრონტებზე. ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ ოჩამჩირის შტაბს და საჭირო არაა, ვირბინოთ სოხუმსა თუ თბილისში. როგორც იყო, დამიჯერეს. ისევ ნადარეიშვილის იმედი გვაქვს. ჩვენ გვჭირდება ტყვია-წამალი, იარაღის გამსხვილება, ტანსაცმელი. ბიჭები დახეული ფეხსაცმელებით წყლით სავსე სანგრებში არიან დღედაღამე. 30 ნოემბერს მთელი დღის განმავლობაში ვიგერიებდით მოწინააღმდეგეს და ოჩამჩირიდან არავინ არ მოგვეხმარა. მეორე დღეს კი შოგვაკითხეს, როგორ ხართო?!

თუ ომი გაჭიანურდა, კიდევ უარესი ჩავარდნები იჩენს თავს. მთავრობამ ყველაფერი უნდა იღონოს ომის მოკლე ხანში დასამთავრებლად. ხალხი ვერ გაუძლებს ასეთ მდგომარეობას. მარტო ლტოლვილობას ატმასნილი ათიათასობით ადამიანი დროს ატარებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში. გარდა ქალებისა, ბავშვებისა და მოხუცებისა, ყველა დააბრუნოს უკან, უნდა დაბრუნდეს და იარაღს მოჰკიდოს ხელი. ხომ ფაქტია, რომ ბევრმა მათგანმა ქურდობასა და ყაჩაღობას მიჰყო ხელი?

**13 იანვარი**

დღეს კალანდობაა. ხვალ ახალი წელია. ჩვენ დღესაც ზეიმით ვეგებებით სხვალით ახალ წელს. ზეიმით ვამბობ მაგრამ სადაური ზეიმი გვექნება გახურებული ომის პირობებში. ჩვენ მაინც იმედით ვცოცხლობთ და ტყვიის ავბედით წვიმაში მაინც ვახერხებთ ცხოვრებას. ახალგაზრდობა მუხლჩაუხრელად ცდილობს გაჯანსაღდეს, სულიერად, აიმაღლოს თავისი საბრძოლო სულისკვეთება. მართალია ეს ყველაფერი არ ითქმის, მაგრამ მათი რიცხვი თანდათან კლებულობს.

საერთო განწყობა ისეთია, რომ მალე დადგება დრო, როცა აფხაზეთში მაცხოვრებელი ქართველობა თვითონ იკისრებს თავისი მიწა-წყლის დაცვას. და საჭირო აღარ იქნება საქართველოს სხვა რეგიონების შეწუხება დახმარებისათვის. მართლაც და აფხაზეთში 260 ათასამდე ქართველი ცხოვრობს. თუ ათ კაცზე მაინც ერთ მეომარს გამოვიყვანთ მაშინ 26 ათასამდე ქართველი მეომარი შეგროვდება აფხაზეთში. ეს კარგად აღჭურვილი და გაწვრთნილი ორი დივიზიაა, რომელიც აფხაზეთის პირობებში სავსებით საკმარისია ყოველგვარი შეტევითი და თავდაცვითი ოპერაციებისათვის. აქაურ ქართველობას რომ ერთიანობა ჰქონდეთ, რად ენდოდათ ვისიმე დახმარება. მაგრამ ეს ნანატრი ერთიანობა ჯერ ვერაა მოპოვებული, რაც ბევრ ღალატსა და გაგრისმიერ ტრაგედიებს წარმოშობს.

(გაგრძელება იქნება)

## ინფორმაცია

მიმდინარე წლის 4 მაისს დედოფლის-წყაროში, სსფ-ის ამ რაიონში მოქმედი ორი დამოუკიდებელი რეგიონული (დედოფლის წყაროს და შირაქის) ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ოქმს ერთ ორგანიზაციად გაერთიანების შესახებ.

იმავე დღეს სსფ-ის თავმჯდომარე ბ-ნი ნ.ნათაძე შეხვდა დედოფლის წყაროს ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ამომრჩევლებს. შეხვედრამ უაღრესად საქმიან ვითარებაში ჩაიარა, შეხვედრაში მონაწილეობდნენ სსფ თავმჯდომარის მოადგილე გოჩა გავაშელი, დარბაზის წევრი აბესალომ ტულუში და გოგი კავლელაშვილი

ლ. ბერაია

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
გელა ებანოიძე
ხათუნა კვესელავა
რიმა ლომაური
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 60 000 კუპონი